# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 2 სექტემბერი 2003 №164 (1935) | ფასი 50 თეთრი





## დინამომ მერცხლებზე ინადირა

### ვიტ ხორხია: ბერიძე შუმაკს პერსონალურად ეთამაშება

დინამო — მერცხალი 5:1. ოზურგეთელთა მეკარე გია გოგუას გოლები დაუშინეს

## ჟორდანიას ალბომი ძველი და ახალი სახეებით





## უიმბლდონი ნიუ იორკს ესტუმრა

US OPEN

ო, როგორ აწვიმს ფლეშინგ მედოუზს... ლონდონში, მაგალითად, ეს ჩვეულებრივი ამბავია. დარბიხარ მწვანე ბალახის ოდნავ შელახულ ხალიჩაზე ჩოგნით ხელში და იცი, გეიმნახევრის შემდეგ ცა გაირღვევა და თუ თავს არ უშველე, ბარაქიანად დაგასველებს. ციურ სტუმარს ტრიბუნებზეც ელიან და კარგა დიდი ქოლგებითაც უხვდებიან.

მაგრამ ნიუ იორკში ხალხი კორტზე უქოლგებოდ სიარულს დაეჩვია და როცა წვიმა წამოვიდა, ულუფა შხაპი ყველას ერგო. გადაიდო ბევრი თამაში, აიწეწა კალენდარი... აი, ჯენი კაპრიატი გუშინ 4:0 უგებდა ელენა დემენტიევას და, ცხადია, საქმის მოთავება იმავ დღეს ენადა, მაგრამ დააცადა წვიმამ? ქოლგის ქვეშ საიმედოდ შემალულ ანდრე აგასის კი დასტურ დასცალდა ევგენი კაფელნიკოვის ძლევა, მისი თამაშისას წვიმა ძალას იკრებდა და ამიტომ.





# ჟორდანიას 22 ქმეცზაიას პროტექშეთი

**დღეს** საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს საალბანეთო მზადება ეწყებათ — 6 სექტემბერს შინ ვთამაშობთ, ოთხი დღის შემდეგ კი ალბანეთში.



ეროვნული ნაკრები, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გაწვრთნის, ახლადაშენებულ ბაზაზე დაბინავდება, თუმც გუნდი ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს, რადგან ბაზის მოედანი ჯერ მზად არაა.

ჟორდანიას განკარგულებაშია 22 ფეხბურთელი, მათ შორის ერთი ახალწვეულია — ლევან მაღრაძე, ვინც ლიმასოლის „აელის“ ნახევარმცველია — მაღრაძე ნაკრებში ჟორდანიას ერთ-ერთი თანაშემწის, თემურ ქეცბაიას რეკომენდაციითაა მიწვეული. მოკლედ, ჟორდანიამ საალბანეთოდ ამ ფეხბურთელებს უხმო:

*მეკარეები: გიორგი ლომაია („სპარტაკი“, რუსეთი), დავით გვარამაძე („დინამო“), მირზა მერლანი („ვიტ ჯორჯია“)*

*მცველები: გიორგი შაშიაშვილი, ალეკო ამისულაშვილი (ორივე „დინამო“), ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი“, შოტლანდია), გივი დიდავა („ქოჯაელი“, თურქეთი), რევაზ ქემოკლიძე („ლოკომოტივი“)*

*ნახევარმცველები: ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული, დავით კვირკველია (სამივე „დინამო“), გიორგი ქინქლაძე (უგუნდოდ), ლევან კობიაშვილი („შალკე“, გერმანია), გოჩა ჯამარაული („მეტალურგი“, უკრაინა), მალხაზ ასათიანი („ლოკომოტივი“, რუსეთი), ალექსანდრე რეხვიაშვილი („ტორპედო-მეტალურგი“, რუსეთი), ლევან კორღალიძე („სკონტო“, ლატვია), გოგა გახოკიძე („ტვენტე“, ჰოლანდია), გიორგი ნემსაძე („დანდი“, შოტლანდია), ლევან მაღრაძე (აელ, კვიპროსი)*

*თავდამსხმელები: მიხეილ აშვეთია („ლოკომოტივი“, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), გიორგი დემეტრაძე („მეტალურგი“, უკრაინა), შოთა არველაძე („რეინჯერსი“, შოტლანდია)*

დღესვე შეიკრიბება ახალგაზრდული ნაკრებიც — 21-წლამდელები სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავდებიან. ხვალ ისინი „ლოკომოტივს“ გაეჯიბრებიან ამხანაგურად, თამაშის წინა დღეს კი ბოლნისის „თემურ სტეფანიაზე“ ივარჯიშებენ. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდული ნაკრები ალბანელებს ბოლნისში უმასპინძლებს და შეხვედრა 6 სექტემბერს 17 საათზე დაიწყება, ხოლო ეროვნულ ნაკრებთა შეხლა „ეროვნულზეა“ 21 საათზე.

21-წლამდელთა დამრიგებელმა რევაზ არველაძემ საალბანეთოდ ეს ფეხბურთელები იწვია:

*მეკარეები: მანუჩარ ივარდავა („თბილისი“), ზურაბ მამალაძე („სპარტაკი“)*

*მცველები: ლაშა სალუქვაძე, სერგო ორბელაძე (ორივე „ლოკომოტივი“), გიორგი ციმაკურიძე („შახტარი“, უკრაინა), ილია კანდელაკი („დინამო“), ალექსანდრე ინწკირველი („ვიტ ჯორჯია“)*

*ნახევარმცველები: დავით გამეზარდაშვილი („ტორპედო“), გოჩა ხოჯავა, გ.ნუგ. ჭელიძე (ორივე „თბილისი“), გიორგი მაწკავა, რომან გოგინაშვილი, დავით სირაძე, დავით ქოქიაშვილი (ოთხივე „ლოკომოტივი“), გიორგი ბერიანიძე („ლოკომოტივი“, ბელარუსი), გიორგი დეკანოსიძე („ვიტ ჯორჯია“)*

*თავდამსხმელები: ლადო ახალაია, მიხეილ ბობოხიძე (ორივე „დინამო“), ირაკლი მოდებაძე („ზაპოროჟიე“, უკრაინა), ოთარ მარცვალაძე („ვიტ ჯორჯია).*

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონატი, პირველი ეტაპი — 15 — 3 ტური

# ამერი: სამერმისო გამოცდა

**ამერი 0:1 ქობულეთი**

0:1 ღლონტი (27პენ)
ამერი: ასლანაძე, დავითნიძე, ჩიხრაძე, ელბაქიძე (კედელაშვილი 46), ნიკოლაიშვილი (ღუდუშაური 46), ვერემჩუკი, განუგრავა, მჭედლიშვილი, გ. კილასონია, გოცირიძე (წინამძღვრიშვილი 63), რუსია
ქობულეთი: გაბუნია, ბერიძე, თურმანიძე, ჭითანავა, ჩახუნაშვილი, ყალიჩავა, ოქროპირიძე (კვესიეშვილი 90), ღლონტი, ხაჭაპურიძე, კრავეიშვილი (გოგმაჩაძე 79), ჭინჭარაძე
გაფრთხილება: თურმანიძე, ყალიჩავა
მსაჯი: სერგო კვარაცხელია
800 მაყურებელი

**პაპუნა კედია**

„ამერს“ პირველ შეხვედრაში ფეხი დაუცდა. არ გაუმართლაო, გვინდოდა გვეთქვა, მაგრამ ეს ქობულეთელთათვის ამაგის დაკარგვა იქნებოდა, მაშინ როდესაც ზღვისპირელებმა ჩემპიონატის დაწყების კვალობაზე ბურთიც მადლიანად გააგორეს და დიდი ჟინითაც იბრძოლეს დახუთული დედაქალაქის მთავარი სარბიელიდან სამი ქულის წასაღებად. სტუმართა მოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე მოსაწონი და თვალშისაცემი სწორედ ეს იყო: სამი ქულისთვის თამაში და მიზნის მიღწევა. თვალშისაცემი იყო მათი რამდენიმე ფეხბურთელის, განსაკუთრებით კი ირაკლი ხაჭაპურიძის (ალბათ, მატჩის გმირი იყო) და ზვიად კრავეიშვილის ოსტატობაც (მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ქობულეთის“ მწვრთნელმა ავთანდილ გორგილაძემ აღნიშნა, რომ ისინი გუნდს ახლახან შეუერთდნენ), თუმცა დასაწუნი არც დანარჩენებს სჭირდათ რამე.

რაც შეეხება „ამერს“, უწინარესად ამ დებიუტანტი გუნდის მიერ ტრიბუნებზე მიზიდული მაყურებლის რაოდენობა მოგვხვდა თვალში. გაზვიადებას არ ვცდილობთ და სულაც არ ვამტკიცებთ, რომ „ეროვნულზე“ ტრიბუნები სავსე იყო, მაგრამ მოლოდინი ნაკლებისა გვქონდა. აი, თამაშით კი მეტს ველოდით. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ კლუბს თავისი ამბიცია და მიზანი დაარსების დღიდან არ დაუმალავს და უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მიზანი თუ ამბიცია ფრიად დიდია.

და მაინც, პირველი თამაში პირველი თამაშია, პირველ დღეს ყველა ღელავს, მით უფრო, დამწყები, ჩვენ კი გვსურს შეგახსენოთ, რომ „ამერი“ 15 წლის ბიჭებისა და დიდ ბრძოლებში გამოცდილი კაცების გუნდია. ერთი სიტყვით, პირველ თამაშში შეცდომები უფრო ლოგიკური უნდა ყოფილიყო, ვიდრე უშეცდომობა, უზუსტობა უფრო გასაგები უნდა ყოფილიყო, ვიდრე სიზუსტე...

ქობულეთელთა მობილიზებულ და გასაგებ ფეხბურთთან შედარებით თბილისელების თამაში უფრო წყვეტილი რიტმისა იყო, მეტწილად მოვლენებზე დამოკიდებული, ვიდრე მოვლენათა განმსაზღვრავი, მაგრამ იყო რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც, ეჭვი არაა, ჰაერიდან არ მოსულა და „ამერის“ მომავალიც თითქოს მანდეთ უნდა იყოს ნავარაუდევი.

„ქობულეთმა“ ანგარიში პირველ ტაიმში, პენალტით გახსნა. 25-ე წუთზე „ამერის“ კაპიტანმა, გიორგი ჩიხრაძემ საჯარიმოში ავთო ღლონტს გამოსდო ფეხი, რისთვისაც თერთმეტმეტრიანით დაისაჯა. გოლი თავად ღლონტმა შეაგდო.

შემდეგი, დასამახსოვრებელი მომენტი ისევ სტუმრებს ჰქონდათ, როდესაც 28-ე წუთზე ირაკლი ხაჭაპურიძეს მასპინძელთა მეკარემ დავით ასლანაძემ არ გაატანინა.

ამის შემდეგ თქვენი ნებართვით, ნახევარმომენტებს გამოვტოვებთ და მეორე ტაიმზე გადავალთ, როდესაც ანგარიშის გასათანაბრებლად მებრძოლმა „ამერმა“ რამდენიმე სახიფათო მდგომარეობა შექმნა. ორს გამოვყოფთ!

პირველი 59-ე წუთზე იყო, როდესაც მცველის, ამირან კედელაშვილის ჩინებული შესვლა მეტოქის საჯარიმოში მისი გიორგი კილასონიასადმი მოხერხებული პასით გაგრძელდა, დამთავრებით კი კილასონიას დარტყმით და ქობულეთელი მცველის გადაღობვით დასრულდა.

და მეორედ 85-ე წუთზე, კილასონიას წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან ბურთი საჯარიმოში თავად კილასონიამ ჩააწოდა, სადაც დიმიტრი ვერემჩუკმა თავური ჰკრა, შემდეგ კი გიორგი დავითნიძემ და მამუკა რუსიამ ველარ მოახერხეს საბოლოოდ კარში შეგდება.

ვიმეორებთ, აქ რამდენიმე მომენტს (თუნდაც რატი წინამძღვრიშვილის მაკრატელას) და ნიუანსს ვტოვებთ. ჯერ ხომ პირველი სექტემბერია და, ვინძლო, გნებავთ, ერთი, გნებავთ, მეორე მეტოქის ზედმეტი ქებაცა და კრიტიკაც ნაადრევი და უსაგნო იყოს.

**ჩიხურა 1:2 ცხინვალი**

**გორდა 5:2 ივერია**

**ოლიმპი 1:0 ვიტ ჯორჯია-მცხ.**

**მილანი 2:0 ლუკა**



ამერელი გიორგი ღუდუშაურის ეს მაკრატელა ქობულეთელთა მეკარე გაბუნიამ მოიგერია

**იტალია**
სერია A. I ტური
ანკონა 0:2 მილანი
სერია C1/A. I ტური
პავია 0:1 ლუკეზე

**ფინეთი**
ვეიკაუსლიგა
XVIII ტური
ჰაკა 2:3 იარო
ინტერი 1:1 ლაჰტი
იოკერიტი 2:4 მიუპა

**ინგლისი**
II დივიზიონი. V ტური
უიკომბი 1:2 უენსდი

**ჩეხეთი**
გამბრინუს ლიგა. VI ტური
იაბლონეცი 0:0 ლიბერეცი
ზლინი 3:0 შიჭკოვი

**ნორვეგია**
ტიპელიგა. XIX ტური
ლილესტრიომი 0:0 ვოლერენგა

**შვედეთი**
ალსვენსკა. XX ტური
სუნდსვალი 0:1 იორებრო
გიოტებორგი 0:1 ელფსბორგი
მალმიო 3:2 იოსტერი
იურგორდენი 2:1 აიკ
სუპერეტა. XXII ტური
ნორჩიოპინგი 1:1 ატვიდაბერგი

**პორტუგალია**
სუპერლიგა. III ტური
ბელენენსეში 1:1 ლეირია

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი ლიგა პირველი ეტაპი

# 6 ტური



# ნადირობა მერცხლებზე

**კახა შალამბერიძე**

**რა უნდა** ითქვას თამაშზე, როცა ბალახს მხოლოდ ერთი გუნდი ტკეპნიდა. თბილისის „დანამომ" ზედმეტადაც კი დაჩაგრა „მერცხალი". ალბათ ივო შუშაკი დიდმის ბაზაზე ვარჯიშისას უფრო მეტად ტვირთავს თავის შეგირდებს. „დინამო" აკეთებდა იმას, რაც სურდა. წარმოიდგინეთ, „მერცხალმა" მეტოქის კარისკენ პირველად 89-ე წუთზე დაარტყა. მანამდე კი გურულებმა ორჯერ მოახვედრეს ბურთი გვარამაძის კარის ჩარჩოში. აქედან ერთი ვლადიმერ გაბედავამ გოლად აქცია, მაგრამ ამას მასპინძლებისთვის გული ნაღდად არ დაუწყვეტია — ამ გოლით ანგარიში 5:1 გახდა.

ჰეთ თრიქებით დაიხუნძლნენ ლევან მელქაძე და ლადო ახალაია. საერთოდაც, პირველ ტაიმში შვიდი გოლი გავიდა, რაც ეროვნულ ჩემპიონატებში სარეკორდოა. ეს მატჩი კი ჯერჯერობით ყველაზე უხვგოლიანია მეთხუთმეტე ეროვნულში.

„დინამომ" 25-ჯერ დაარტყა „მერცხალის" კარის მიმართულებით და აქედან რვაჯერ იხეირა. მელქაძე-ახალაიას გარდა გაიტანეს ვიტალი დარასელიამ და, რა თქმა უნდა, შეცვლაზე შესულმა მიხეილ ბობოხიძემ. გოლების აღწერით კი თავს ნაღდად არ შეგაწყენთ.

ოზურგეთელთა უსუსურობას „ეროვნულზე" შეკრებილმა ხუთასიოდე მოსეირემ დიდხანს ვერ გაუძლო. ზოგს წასთვლიმა კიდეც, უმეტესობა კი დინამოელთა მიერ ზოგჯერ შესრულებული ლამაზი ილეთებით ირთობდა თავს, თუ არადა, ფეხბურთისგან შორსმდგარ თემებზე საუბრით კლავდა დროს.

საერთო აზრი კი ასეთი იყო — კრივის წესები, ეტყობა, ფეხბურთისთვისაც საჭიროა. თეთრ ფორმებში გამოწყობილ სტუმართაგან არავის მოსვლია აზრად, მოედანზე თეთრი პირსახოცი გადაეგდო და თამაში შეეწყვიტა.

„დინამომ" ზაფხულის ბოლო დღეს დააფრთხო მერცხლები და ზამთრის სუსხივით აუქროლ-ჩაუქროლა ოზურგეთულ, ბევრისთვის კერკეტ კაკლად ქცეულ გუნდს.

გაგრძელება არ იქნება... უფრო სწორად, კარგია, თუ არ იქნება, თორემ ასეთ გუნდებთან თამაშში გართულ „დინამოს" ერთხელაც ალბანური „ტირანა" შეხვდება და...

აღარ გვინდა „ტირანა", ფეხბურთი გვინდა...

თბილისი. 31 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული. 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 8:1 მერცხალი

1:0, 2:0 მელქაძე (6, 16), 3:0 დარასელია (19), 4:0 ახალაია (21), 5:0 მელქაძე (28), 5:1 გაბედავა (31), 6:1 ახალაია (45), 7:1 ბობოხიძე (66), 8:1 ახალაია (85)

| | |
|---|---|
| დინამო: გვარამაძე, კარლოსი (ექონია 70), შაშიაშვილი, ამისულაშვილი (სახვაძე 56), წერეთელი, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია, ბურდული, მელქაძე (ბობოხიძე 65), ახალაია სათადარიგონი: ზოიძე, კანდელაკი, იაშვილი, ი. სამხარაძე მწვრთნელი: ივო შუშაკი | მერცხალი: [illegible] გოგუა, [illegible] კვირკვია, ჭალიაშვილი (ბართია 46), გ. ილურიძე, გ. წივწივაძე (ხიამაშვილი 46), მჟავანაძე, ჭინჭარაული, მებონია, გაბედავა, კალანდაძე სათადარიგონი: როხაძე, მანჯავიძე, ახკურავა, ჩიჩუა, გრიგორიევი მწვრთნელი: სერგო გაბელაია |

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); კ. თბილელი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: რ. შოთაძე

ჯარიმა: 9-5; კუთხური: 10-4; კარისკენ დარტყმა: 12-1; კარში დარტყმა: 13-2; თამაშგარე: 1-3



მიხეილ ბობოხიძე შესვლა-გატანას დაიჩვია

გორი. 1 სექტემბერი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე 1000 (ტევადობა 8 000)

## დილა 2:0 სიონი

1:0, 2:0 სულთანიშვილი (20, 88)

| | |
|---|---|
| დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, ლაცაბიძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია, ჯობაძე (მარლიშვილი 60), სულთანიშვილი (ბ. ჩიტაია 90), რაზმაძე, ძოძუაშვილი (გ. კაიდარაშვილი 75) სათადარიგონი: თ. ილურიძე, ოლგესაშვილი, ხანიშვილი, მასურაშვილი მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი | სიონი: ა. ლაბაძე, ბაქრაძე, ხუჯაძე, ჭიჭველიშვილი, გილაური, კვეკვესკირი (ბ. წივწივაძე 66), დარსანია (გ. შენგელია 14), გაბიდაური (ისიანი 69), კოშკაძე, გაბისკირია, გონჩაროვი სათადარიგონი: ვოლკოვი; ბ. შენგელია, ფანჩულიძე, დაუშვილი მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: ლაცაბიძე (13), გაბიდაური (20), ბაქრაძე (35), გოჩაშვილი (45), კოშკაძე (74)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: მ. კვარაცხელია

ჯარიმა: 16-15; კუთხური: 5-5; კარისკენ დარტყმა: 8-6; კარში დარტყმა: 7-4; თამაშგარე: 4-1

# სულთანმხუთავი

## მარღი ქმედების კოეფიციენტი

**ვაჟა ხუციშვილი** გორიდან

შარშან, „დილა" — „სიონის" ბოლო გორულ მატჩში მასპინძელთა შორის ზურაბ ხორგუაშვილმაც ითამაშა. იგი ამ სეზონიდან „დილას" მწვრთნელია და ახალდაწყებულ კარიერაში პირველი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ხორგუაშვილი გუშინ ტრიბუნაზე წყლიანი ბოთლით იჯდა და გუნდს იქიდან მეთაურობდა. მისი თავკაცობით გორელებმა ზედიზედ მესამე საშინაო გამარჯვება გამოჭედეს. ამჯერად „დილამ" „სიონს" უმასპინძლა და სეზონში პირველი მარცხი აგემა.

გორელთა თავდამსხმელი ალექსანდრე კაიდარაშვილიც მწვრთნელივით დისკვალიფიცირებული გახლდათ და დამხვდურებმა ფაქტობრივად ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშეს.

ბოლნისის „სიონში" ისევ დაბრუნდა თითქოს ბულგარეთში წამსვლელი გიორგი შენგელია. მან პირველი ტაიმის მიწურულს მახარაძის აზრით პასიური დარსანია შეცვალა. სტუმრებმაც ეული თავდამსხმელით, გონჩაროვით ითამაშეს და ამას შედეგი რომ არ მოჰყოლია, ანგარიშიდანაც ჩანს.

სიცხისგან გათანგული ფეხბურთელები სანამ მზეს თვალს გაუსწორებდნენ, საჯარიმოებს შორის ბურთი მუქთად აგორეს. დაახლოებით მეათე წუთიდან მასპინძლებმა ტემპს უმატეს და „სიონის" კართან ხიფათმაც იმრავლა. სტუმართა მცველს ძოძუაშვილი დაუსხლტა, მეურვეს ბურთი თავზე გადაავლო და მისი დარტყმული ლაბაძისგან მარცხენა ძელს მოხვდა. მოგვიანებით სულთანიშვილმა ცაციით საჯარიმო შეასრულა და ბოლნისელთა მეკარემ იყოჩაღა. საპასუხოდ გორელთა კარის სიახლოვეს კოშკაძემ გაიელვა. მან მცველს გაასწრო, მახვილი კუთხიდან დაჰკრა, მაგრამ სოლოლაშვილმა გოლის გატანა არ დაანება.

შეხვედრის მეოცე წუთზე „დილას" ქომაგთათვის სახალისო ამბავი მოხდა. „სიონის" კარის ხაზიდან ორიოდ მეტრში მეტოქისგან შეწუხებულმა მეკარესთან ზურგით მდგომმა ჭიჭველიშვილმა ბურთი უნებლიედ უკან დააბრუნა. ლაბაძისთვის ეს მოულოდნელი გამოდგა და ბურთი მოიხელთა. მსაჯმა საჯარიმო დანიშნა, სულთანიშვილმა კი უძლიერესად დაარტყა და კარში ჩამდგარი თერთმეტივე ბოლნისელი უძლური აღმოჩნდა.

პირველი ტაიმის ბოლომდე „სიონი" გათანაბრებას კი ეცადა, მაგრამ შეტევაში საქმე ვერააწყო. გონჩაროვს აშკარად აკლდა მეწყვილე, ვისთანაც ბურთს გაითამაშებდა.

მეორე ნახევარი სტუმრებმა კარგად დაიწყეს და თითქმის ოცი წუთი მობილურად უტევდნენ. კარშიც არაერთხელ დაარტყეს, მაგრამ სოლოლაშვილისთვის მათი მოგერიება სირთულეს არ წარმოადგენდა. ბოლნისელთაგან ყველაზე ხშირად ბურთთან კოშკაძე ურთიერთობდა, საჯარიმოშიც იოლად აღწევდა, ოღონდ „სიონის" იერიშებს უკეთესი განვითარება არ ეწერა.

ამასობაში მოედანზე გამოჩნდა როინ მარლიშვილი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ოფლისმოუდენლად დაალაგა „დილას" თამაში. ცენტრში დამკვიდრდა და ჭკვიანურ პასებს არიგებდა. ორჯერ ძოძუაშვილი, მეკარეს თითქმის პირისპირ შეახვედრა, მაგრამ ფორვარდმა ორჯერვე დარტყმა დაახანა. შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ძოძუაშვილის ნაცვლად ალექსანდრეს ძმა, გიორგი კაიდარაშვილი გამოჩნდა და უმაღლეს ლიგაში მისი დებიუტი შედგა.

როინ მარლიშვილის გარჯა საბოლოოდ საბა სულთანიშვილმა დააფასა, მთელი მატჩის განმავლობაში მოუღლელი და მეტოქის ყოველმხრივშემწუხებელმა საბამ მარლიშვილისგან მიღებული ბურთი კარიდან წინ გამოსულ ლაბაძეს თავზე გადაავლო და შეხვედრის დამთავრების შემდეგ გულშემატკივართა ტაშიც დაიმსახურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვეტენაძე კვერებს აცხობს და ქუთაისს კვარს უნთებს

ქუთაისი. 31 აგვისტო. 18 საათი. ტორპედო

## ტორპედო 3:1 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| 1:0 ახალკაცი (34), 2:0 კვეტენაძე (65), 2:1 კობახიძე (66), 3:1 ჩხეტიანი (75) | |
| ტორპედო: სტურუა, ხვადაგიანი, გამეზარდაშვილი, მახვილაძე, ს. თოდუა, ბაბუნაშვილი, ყიფიანი, კვეტენაძე (ლალაძე 78), ახალკაცი (მუშკუდიანი 86), ნერგაძე, კვერნაძე (გ. ჩხეტიანი 72)<br>*სათადარიგონი:* რევიშვილი; გოგოლაძე<br>მწვრთნელი: სოსო ფრუიძე | ლოკომოტივი: გრიშიკაშვილი, ორბელაძე, ვაშაკიძე (ლ. სალუქვაძე 26), მ. ბურნაძე, ქემოკლიძე, სიჭინავა, ქოქიაშვილი, მიქაძე, სირაძე, მანჯავა (კობახიძე 48), რ. ონიანი (გოგინაშვილი 72)<br>*სათადარიგონი:* ბოდოკია; სოსელია, ძამსაშვილი, უგრეხელიძე<br>მწვრთნელი: რევაზ არველაძე |
| გაფრთხილება: ბურნაძე, მახვილაძე, გოგინაშვილი | |
| მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); დ. ხანაია (სოხუმი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: მ. ანჯაფარიძე | |
| ჯარიმა: 11-8; კუთხური: 4-5; კარისკენ დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 5-8; თამაშგარე: 2-2 | |

დავით თავართქილაძე ქუთაისიდან

**ტრავმიანი მოთამაშეები** ორივე გუნდს აკლდა, „ლოკომოტივმა“ სულაც გიორგი ლომაია მოისაკლისა, მაგრამ ეს სათვალავში არ მიიღება — „ტორპედომ“ პირველ რიგში მონდომების, შეუპოვრობის ხარჯზე დაჯაბნა მეტოქე.

„ლოკომოტივი“ ახლადშექმნილი გუნდია, ფეხბურთელების წასვლა-მოსვლა იქ კვლავაც გრძელდება, რაც ლოკომოტიველთა თამაშს დაღს ასვამს, მაგრამ გასასამართლებელ საბუთად ნაკლებად გამოდგება, რადგან პრობლემები „ტორპედოსაც“ აქვს — კლუბს ფინანსურად ძალიან უჭირს.

ქუთაისელი კახა კვეტენაძე 33 წლის გახლავთ. მან თითქმის 50 მეტრიანი სოლო რეიდი იკისრა, მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში შეიწია და 12-13 მეტრიდან სოსო გრიშიკაშვილს დაბალ კუთხეში გაუტანა. როცა ამ ხნის კაცი ჯეელ ბიჭებს ასე აჯობებს, რა ტაქტიკაზე, რა მწვრთნელის დავალების ვერშესრულებაზე და საერთოდ რა ფაქტორებზე შეიძლება ლაპარაკი?

პირველი გოლი რომან ახალკაცმა გაიტანა — მან ერთი შეხებით ჩამოიშორა მცველი და გრიშიკაშვილს დაახლოებით 14 მეტრიდან აულებლად დაურტყა.

კვეტენაძის ზემოთხსენებული ჩუბინობა მეორე ტაიმის ამბავია და მას შეცვლაზე შესული ვლადიმერ კობახიძის დიდებული გოლი მოჰყვა — სირაძე-მიქაძის კომბინაციის შემდეგ ბურთი კობახიძემ მოიგდო, ცაციაზე გადაიტანა ის და ზედ საჯარიმო მოედნის ხაზიდან ზვიად სტურუას კარის ცხრიანს შეაწყვიტა.

მთლიანობაში სუმბურული თამაში იყო და 2:1-ის შემდეგ კიდევ უფრო აბდა-უბდა წავიდა, რაშიც კვლავ „ტორპედომ“ იმარჯვა. ახალკაცმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, გაგა ჩხეტიანმა რთული პოზიციიდან კარგად ვერ დაარტყა, მაგრამ გრიშიკაშვილმა არგასაშვები გაუშვა.

ამას შემდეგ გატანის შანსი „ლოკომოტივსაც“ ჰქონდა — კობახიძემ საჰაერო ბრძოლა მოიგო და ბურთი თავით დაუგდო „ლოკომოტივში“ ახლადდაბრუნებულ ლაშა სალუქვაძეს, რომელმაც ხარიხას გადააცილა ის.

*სოსო ფრუიძე,* „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი:

— ძალიან რთული მეტოქე გვყავდა და ამ გამარჯვებით ძალიან გახარებულები ვართ. „ლოკომოტივში“ კარგი ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ შეთამაშება აკლიათ. სიცხეში მოძრაობა ჭირდა, მაგრამ ორივე გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, უფრო იღბლიანები კი ჩვენ გამოვდექით. „ტორპედოში“ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა ითამაშა — მათ თამამად უნდა მივცეთ ძირითადში თავის გამოჩენის შანსი.

*გოჩა ტყებუჩავა,* „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:

— ვერა და ვერ დავლაგდით — ლომაია წავიდა, სალუქვაძე დაბრუნდა — მოკლედ, ყველა თამაშს სხვადასხვა შემადგენლობით ვთამაშობთ. თუმც წაგებას მხოლოდ ამას ვერ დავაბრალებთ. კარგად ვერ ვითამაშეთ, მოთამაშეებმა დასახული ამოცანა ვერ შეასრულეს. ახლა კვლავაც ძალიან სერიოზულად უნდა მოვემზადოთ, რათა გამართულად ავთამაშდეთ.



ვეტერანმა კახა კვეტანაძემ ახალგაზრდა რკინიგზელებს გაკვეთილი ჩაუტარა



ბათუმელებმა ვიტალი დარჩიძის ზუსტი პენალტით იმარჯვეს

# დარჩი და მერე გადი

## კარგად შენახულმა დარჩიძემ ბათუმი შეაგოლიანა

ბათუმი. 31 აგვისტო. 18 საათი. ცენტრალური. 1 500 (ტევადობა 3 000)

## ბათუმი 1:0 თბილისი

| | |
|---|---|
| 1:0 დარჩიძე (50პ) | |
| ბათუმი: ქვაჩახია, მახარაძე, გუშარაშვილი, დუმბაძე, კობიძე, ფირცხალაიშვილი, მანჩხავა, ბესიკ თედორაძე, ი. შენგელია (ცანავა 73), რომანაძე (დარჩიძე 46), კაკალაძე (ფურცხვანიძე 85)<br>*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; ბეჟანიძე, იალამიდი, ნემსაძე<br>მწვრთნელი: ვ. ჩხარტიშვილი და ა. ბალაძე | თბილისი: ივარდავა, გ. ნუგ. ქელიძე (გოგიტა გოგუა 85), მიქიაშვილი, დათვაძე, მემარნიშვილი, დავითაშვილი, ხოჯავა (იმედაძე 80), კვარაცხელია, სიდამონიძე, მესხი (ჯიქია 90), მიკუჩაძე<br>*სათადარიგონი:* ნაჭყებია; ხარებავა, გემეზაშვილი, ყველაშვილი<br>მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი |
| გაფრთხილება: ქელიძე (39), მიკუჩაძე (89), კობიძე (90) | |
| მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ზ. ქელიძე; დირექტორი: რ. ლორთქიფანიძე | |
| ჯარიმა: 18-12; კუთხური: 1-7; კარისკენ დარტყმა: 6-8; კარში დარტყმა: 1-6; თამაშგარე: 2-1 | |

კობა ინასარიძე ბათუმიდან

**იმ გუნდების** მატჩი იყო, რომლებსაც მწვრთნელთა საბჭო ხელმძღვანელობს. „ბათუმის“ თავკაც ვალერიან ჩხარტიშვილს მეორე ტურია გვერდში გუნდის უფროსი ასლან ბალაძე ამოუდგა, ისინი ახლა ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ და უკვე შედეგიც გამოჩნდა — ზედიზედ წაგებული მატჩების მერე ბათუმელებმა ორი გამარჯვებით გაიხარეს, ოზურგეთში 1:0 მოგებას, კვირას „თბილისთან“ ალებული სამი ქულა მიაყოლეს. თავის მხრივ, „თბილისს“ ოთხკაციანი საბჭო თავკაცობს — გიორგი დევდარიანი, ჯონი ჯანელიძე, ნიკოლოზ დოლიძე, გია ბაბუაძე. „ბათუმთან“ შეხვედრისთვის სწორედ ამ ოთხეულმა მოამზადა გუნდი. „თბილისის“ უწინდელი მწვრთნელი თემურ ლორთქიფანიძე, როგორც თქვეს, ავადმყოფობს.

მატჩი „ბათუმმა“ ფრთხილად დაიწყო, ერთადერთი ფორვარდით, ხუთი ნახევარმცველით და ოთხი მცველით, „თბილისმა“ პირიქით, შემტევი ფეხბურთი ირჩია და უპირატესობაც თავიდანვე მოიპოვა. მთელი პირველი ტაიმი ბურთს სტუმრები აკონტროლებდნენ და რამდენიმე კარგი საგოლე მომენტიც შექმნეს, თუმც უშედეგოდ, ხან თავად სცოდავდნენ, ხანაც ბათუმელთა მეკარე ყოჩაღობდა, რომელმაც იმ დღეს მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა და გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ მისია.

პირველი ხიფათი „ბათუმის“ კართან მატჩის დასაწყისშივე, მე-10 წუთზე შეიქმნა: კვარაცხელიამ ნახევარი მოედანი ბურთიანად გადაიარა, გზად რამდენიმე მასპინძელი ჩამოიშორა და გონივრული პასით დავითაშვილი ქვაჩახიას პირისპირ დატოვა. სტუმარ თავდამსხმელს ბურთი ოდნავ გაექცა და კარგად დარტყმა ველარ შეძლო, მეკარემ ბურთი ფეხით კუთხურზე მოიგერია. შესვენებამდე, „თბილისი“ კიდევ რამდენჯერმე დაემუქრა „ბათუმს“.

მეორე ტაიმში მასპინძლები საგრძნობლად გააქტიურდნენ. მოედანზე გამოჩნდა დარჩიძე. როგორც ნამატჩევს ასლან ბალაძემ თქვა, ამ ფეხბურთელის სათადარიგოდ ყოფნა, ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო. გაამართლა ბათუმელი მწვრთნელების ნაბიჯმა, დარჩიძემ, შეიძლება ითქვას, მარტომ მოიგო თამაში. თუმც გარჯა არც სხვებს უნდა დავუკარგოთ — კვირას ძალიან მონდომებულმა, ბრძოლისუნარიანმა „ბათუმმა“ ითამაშა.

ერთადერთი გოლი კი მასპინძლებმა პენალტით გაიტანეს, რომელიც მესხმა მაშინ დანიშნა უყოყმანოდ, როცა კაკალაძემ წამით დაასწრო ივარდავას, ბურთი ცარიელი კარისკენ შეიგდო და მეკარემ წააქცია. ნაღდი პენალტი იყო, რომელიც დარჩიძემ უნაკლოდ შეასრულა.

„ბათუმი“ ანგარიშს გაუფრთხილდა. მასპინძლებმა აქცენტი ისევ დაცვაზე გააკეთეს. „თბილისმა“ კი დიდი ძალით შეუტია, ერთხელ სტუმრებს ისეთი მომენტი შეექმნათ, უკეთესი რაღა უნდა ყოფილიყო, ჩივაძემ ერთი მეტრიდან ქვაჩახიას მოძრაობის საპირისპიროდ დაარტყა, მაგრამ ბათუმელმა მეკარემ წარმოუდგენელი რეაქციით შეძლო ბურთის მოგერიება. ამის შემდეგ დათვაძემ დაურტყა ქვაჩახიას, თუმც ისევ უშედეგოდ. მატჩის ბოლო რომ ახლოვდებოდა და, „თბილისი“ უკანმოუხედავად უტევდა, ბათუმელ თავდამსხმელებს ხელფეხიც გაეხსნათ. კაკალაძეს, შეცვლაზე შესულ ფარცხვანიძეს, დარჩიძეს კონტრშეტევებისას კარგი საგოლე მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ივარდავასთან პირისპირ დარჩენილებმა ბურთი კარს ვერ დაუმიზნეს.

*გიორგი დევდარიანი,* „თბილისის“ მწვრთნელი:

ფეხბურთის დაუწერელმა კანონმა იმოქმედა, ვერ გაიტან, გაგიტანენ. ჩვენ შესვენებამდე რამდენიმე მომენტი გავაცუდეთ, რისთვისაც დავისაჯეთ კიდეც. ფეხბურთი ასეთ შეცდომებს არ პატიობს. ვულოცავ „ბათუმს“ გამარჯვებას, შედეგი ლოგიკურია. „თბილისს“ კი ყველაფერი წინ აქვს. ეს მომავლის გუნდია. მფლობელთა ხელშეწყობით წარმატებაც მოვა. ჩვენ დიდი პერსპექტივა გვაქვს.

*ასლან ბალაძე,* „ბათუმის“ მწვრთნელი:

პირველ ტაიმში „ბათუმი“ თითქოსდა შეშინებული ჩანდა. შესვენებაზე ბიჭები ფსიქოლოგიურად დავამუშავეთ. გაამართლა ჩვენმა ჩანაფიქრმა, დარჩიძე რომ მეორე ტაიმისთვის შემოვინახეთ და შედეგიც სასურველი მივიღეთ. დარჩიძემ ჩვენი გუნდის თამაში დაალაგა. აქამდე „ბათუმი“ ფიზიკურად იჩაგრებოდა. ამ მატჩმა კი დაგვანახა, რომ ბიჭებმა სათანადო კონდიციას მიაღწიეს. ჩვენ კიდევ მოვუმატებთ...

# ბერიძე თამაშობს გარკვევით და დამარცვლით

ფოთი. 31 აგვისტო. 18 საათი. ფაზისი. 1 000 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:2 ვიტ ჯორჯია

0:1 გოცირიძე (35), 0:2 მარცვალაძე (53)

| | |
|---|---|
| **კოლხეთი:** ბათიაშვილი, გოროზია, ქუტიძე, შ. ლონდაძე, მინდაძე, სვანაძე (ლალანიძე 46), მ. ქობულაძე (თავაძე 62), აკობია, ტულუში, მალანია, გოდერძიშვილი (გაგუა 46) *სათადარიგონი:* ჩემია; ტყებუჩავა, შალამბერიძე, დ. ნარსია **მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა | **ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ვ. გოჩაშვილი (ლ. მერებაშვილი 83), კობიაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დოლიძე, დეკანოსიძე (დათუნაიშვილი 66), გოცირიძე, მარცვალაძე (სახოკია 75) *სათადარიგონი:* მამარდაშვილი; კვახაძე, ზვ. ლაბაძე, ე. მერებაშვილი **მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე |

**გაფრთხილება:** დოლიძე (18), ქუტიძე (23), მერებაშვილი (89)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ა. ბურჯალიანი

ჯარიმა: 15-25; კუთხური: 5-4; კარისკენ დარტყმა: 3-3; კარში დარტყმა: 4-7; თამაშგარე: 3-11

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან



ოთარ მარცვალაძე

**„ფაზისი“** ორი თანაბარქულიანი ლიდერის საინტერესო პაექრობის მოლოდინში იყო და ეს გამართლდა კიდეც, გამართლდა შინაურ სარბიელზე აქამდე დაუმარცხებელ მასპინძელთათვის.

ნამატჩევს ვიტელთა თავკაცმა ზურაბ ბერიძემ თქვა: „კოლხეთის“ თამაში კარგად შევისწავლე და შესაბამისი ტაქტიკით ვათამაშე შეგირდებიო. მისმა ჩანაფიქრმა რომ გაამართლა, ეს თავად მატჩმა და მისმა საბოლოო შედეგმა ცხადყო.

სტუმართა ტაქტიკა ნაცნობი და ერთი შეხედვით მარტივი იყო — მეტოქის შეტევის საკუთარ ნახევარზე ჩაშლა და ელვისებური კონტრშეტევა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, შემსრულებლებზე იყო დამოკიდებული და „ვიტ ჯორჯია“ ასეთი ხალხის ნაკლებობას ნაღდად არ უჩივის.

კოლხებს რომ იოლი გასეირნება სულაც არ ექნებოდათ, ეს უკვე მესამე წუთზე გამოჩნდა. მოედნის ცენტრში ოთარ მარცვალაძემ ბურთი მოიგდო, ცრუმოძრაობით მცველებს დაუსხლტა და კარისაკენ გაიჭრა. მისი დამწევი კი აღარავინ აღმოჩნდა და ბათიაშვილს ერთბაშად ორი სტუმარი შერჩა პირისპირ. საჯარიმოში შეჭრილმა მარცვალაძემ კარში დარტყმას პასი ამჯობინა და საპენალტოსთან მდგარ გოცირიძეს „დალეჭილი“ ბურთი მიუგორდა. ამანაც კარში შეუჩერებლივ დაარტყა, მაგრამ პირდაპირ ბათიაშვილს გაარტყა.

ამის შემდეგ ერთხანს „კოლხეთმა“ თამაში განივი გრძელი პასებით დაალაგა, რამდენიმე ხეირიანი კომბინაციაც შეაკოწიწა და ხიფათს ხიფათითით მალევე უპასუხა. ქობულაძემ მარჯვენივ დიაგონალზე გაუჭრა გოროზიას, რომლის შორეულ ძელთან ჩაწოდებულს აკობია თავით ეგებება — მერლანი იოლად იგერიებს დარტყმულს.

თამაშის ხასიათი თანდათან ცხადი ხდება. კოლხები შეტევას ლამობენ, ვიტელები კი ჩასაფრებულნი არიან, ეგებ, სწრაფი კონტრჩხვლეტა გამოგვივიდესო. ასეთი სიტუაცია ხიფათის ალბათობას სწორედ მასპინძელთა კართან ზრდიდა. თამაშგარის ზღვარზე მოთამაშე სტუმრებს მალე კიდევ ერთი შანსი ებოძათ. დილმელაშვილმა დაცვის ხაზი ერთი გონივრული პასით გაჭრა და მარცხენა ფლანგზე დოლიძე ეულად დატოვა. დათომ ვერ ივარგა და კარის გასწვრივ გაკეთებული უხეირო პასით გოცირიძე ვერ „დააპურა“.

კოლხებმა ამ გამოხდომას მალანიას შორეული დარტყმით უპასუხეს და ეგ იყო. ამის შემდეგ მოედნის ბატონ-პატრონი „ვიტ ჯორჯია“ გახდა, რომელიც გეგმაზომიერად უზღუდავდა მეტოქეს სათამაშო არეს და ბურთსაც მთლიანად აკონტროლებდა. ასეთმა სიტუაციამ გოლი მოამწიფა და 35-ე წუთზე ანგარიშიც გაიხსნა.

მარცხენა ფლანგზე დეკანოსიძე წამით უმეთვალყურეოდ დარჩა და ბურთიც უმალ მიიღო. მიიღო და საჯარიმოშიც მყისვე ჩააწოდა. იქ კი სამეკარეოს წინა კიდესთან მაღალ ბურთს გოცირიძე დაუხვდა და ეფექტური თავურით შორეულ კუთხეში გაგზავნა.

დემორალიზებული კოლხები ორიოდ წუთში კინაღამ კიდევ ერთხელ დაისაჯნენ. მარცვალაძემ მატჩის დებიუტში განხორციელებული გარღვევა ზუსტად გაიმეორა, ოღონდ ერთი განსხვავებით: ამჯერზე მან პასი არ გაიმეტა და მეკარის მოტყუება განიზრახა. ბათიაშვილმა თავდამსხმელის ოინი ამოიცნო.

შესვენებაზე ჯუნგლი ტყებუჩავამ თამაშის გადარჩენა მოიწადინა და ინერტული გოდერძიშვილი გაგუათი შეცვალა, ხოლო სვანაძე — გამოცდილი ლალანიძით. თითქოს კოლხთა მარგი ქმედების კოეფიციენტი ამაღლდა, მაგრამ ეს მოჩვენებითი რამ გამოდგა. „ვიტ ჯორჯიამ“ მოჭარბებული ჟინით განაახლა თამაში და პირველივე იერიშით მეტოქის კარს დაემუქრა. ნოზაძის კუთხურს ინწკირველმა თავი დაუხვედრა და მართალია, დარტყმული არცთუ ძლიერი გამოუვიდა, მაგრამ ბათიაშვილს რეაგირება გაუჭირდა და ხელმეორე ვარდნაში მოახერხა ბურთის კუთხურზე გადაგდება.

აქედან ხუთ წუთში მოსახდენი მაინც მოხდა. ამჯერად მარცხნივ გადასულმა მარცვალაძემ ჩვეულად გაისეირნა. გზად სამი მცველი ბავშვივით გააცურა, საჯარიმოს კიდიდან ცენტრისკენ ოდნავ გაწევით და შორეულ კუთხეში დაბალი დარტყმა. ბათიაშვილის ხელიდან ბურთი ძლივს [illegible] და კარში შევიდა.

ეს ვინ ყოფილაო, ამოიოხრა „ფაზისის“ ქომაგობამ და გაშვებული გოლით გამოწვეული წყენის მიუხედავად, მარცვალაძე ტაშით დააჯილდოვა. საერთოდ, ამ ბიჭმა ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. პირველ ტაიმში სადაც კი ბურთი მიიღო, ფინტების და სისწრაფის დემონსტრირება მოახდინა, მეორეში კი მთლად გაიჯეჯილა და სანამ შეცვლიდნენ, კოლხ მცველებს თავბედი აწყევლინა. მოგვიანებით ბერიძემ ის შეცვალა და სტადიონიც ფეხზე დაუდგა 19 წლის ნიჭიერ თავდამსხმელს.

63-ე წუთზე მალანია შორეულ პასს დროულად კი გამოეხმაურა, მაგრამ მერლანთან პირისპირ დარჩენილს დარტყმა ოდნავ ძლიერი გამოუვიდა და ბურთი ცარიელი კარის ხარიხას ზემოდან გადაევლო.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ამაო ჩანდა „ფაზისის“ ბინადართა მცდელობა და მატჩიც მალე ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა.

ნამატჩევს, პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მწვრთნელმა ერთმანეთის მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა. ზურაბ ბერიძის სიტყვები უფრო ზრდილობის გამო ნათქვამს ჰგავდა, „კოლხეთმა“ სულაც ვერ ითამაშა ისე, როგორც სჩვევიაო. აი, „ვიტ ჯორჯიაზე“ ნათქვამი კომპლიმენტები კი სრულიად გასაგები იყო. ჯუნგლი ტყებუჩავამაც კოლეგას თამაში მოუწონა და ყველა რგოლში ასე დაბალანსებული გუნდი არ მინახავსო, დასძინა.

თბილისი. 31 აგვისტო. 18 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## სპარტაკი 2:1 მცხეთა

0:1 ჩილვინაძე (22), 1:1 ალადაშვილი (43), 2:1 კვერენჩხილაძე (52)

| | |
|---|---|
| **სპარტაკი:** მამალაძე, წურწუმია, ჟვანია, ებრალიძე, გურეშიძე, იმნაიშვილი (ჩიკვილაძე 74), ალადაშვილი, ბოლქვაძე, გ. დოლიძე (კვერენჩხილაძე 23), ტატანაშვილი (გ. თოდუა 80), კოტრიკაძე *სათადარიგონი:* შეყრილაძე; დონდოლაძე, ბაკარაძე, ებანოიძე **მწვრთნელი:** ვასილ ჭეიშვილი | **მცხეთა:** ცინაძე, ამბიძე (მგელაძე 58), გ. ქებაძე, ჯაფარიძე, რაქვიაშვილი, ლ. ქებაძე (მელიქია 75), ჩაჩუა (მუშუქია 58), თირქია, ბ. ნოზაძე, ლ. ჩხაიძე, ჩილვინაძე *სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; ხიდაშელი, ჩიტაური, პარამონოვი **მწვრთნელი:** ვლადიმერ პანოვი |

**გაფრთხილება:** ჩხაიძე (33), კვერენჩხილაძე (55), გ. ქებაძე (64), ებრალიძე (65)

**მსაჯები:** გ. ახკაროლლი (ქარელი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ნ. რუხიშვილი (ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში; **დირექტორი:** ნ. კაკულია

ჯარიმა: 10-17: კუთხური: 2-2: კარისკენ დარტყმა: 4-2; კარში დარტყმა: 10-2; თამაშგარე: 5-6

# სპარტაკმა მოგებას ხელი ჩამოართვა

**პაატა კვანტალიანი**

**კვირას** სპარტაკელი კახა ალადაშვილი თავისი პატარა გუნდის ისტორიაში ჩაეწერა. „მცხეთასთან“ მატჩში სწორედ მის მიერ გასროლილ ჯარიმას მოჰყვა „სპარტაკის“ საუმაღლესლიგო პირველი გოლი. მერე კი ისიც გაირკვა, რომ სწორედ ამ გოლმა ჩაუყარა საფუძველი დებიუტანტის პირველ გამარჯვებას. ხუთი ტურის შემდეგ ქართულ უმაღლესში მოგებას გემო ყველამ გაუგო. „სპარტაკმა“ ასევე დებიუტანტ „მცხეთასთან“ გვარიან ხათქუნში გამოჭედა სამი ქულა.

„ლოკომოტივზე“ ძირითადად ვალდებულების გამო შეკრებილი სამასამდე ქომაგი ერთი შეხედვით მოსაწყენად იყო განწირული, მაგრამ უმაღლესი ლიგის ახალწვეულებმა ისეთი ფეხბურთი გააჩაღეს, თქვენი მოწონებული. ორმხრივი შეტევებით დახუნძლულმა გახსნილმა თამაშმა მცირე აუდიტორია მალე აიყოლია და იყო ერთი ჟრიამული და ყიჟინა. თავიდანვე ჩანდა, „ლოკომოტივის“ და „თბილისის“ გამამწარებელი „მცხეთა“ თავდაჯერებული გავიდა აუტსაიდერთან სათამაშოდ. პანოვის ბიჭებმა მალე გოლი გაიტანეს და საქმე სულაც მომთავრებულად ჩათვალეს. „სპარტაკი“ კი ნამდვილად არ იყო მეტოქის ასეთი დამოკიდებულების მგუებელი და გაყოყოჩებულ მცხეთელთა დასჯაც არ დაიზარა... სტუმართა გოლი მართლაც ეფექტური იყო, ისევე როგორც „სპარტაკის“ ორი საპასუხო. „მცხეთა“ ჩილვინაძემ დააწინაურა თვალსასეირო, 25-მეტრიანი დრიბლინგისას. ტანმაღალმა შემტევმა გადამწყვეტი დარტყმის წინ ერთბაშად ოთხი მეტოქე მოიტოვა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს არც მუხლი აჰკანკალებია — 0:1. ამ გოლამდე „სპარტაკს“ ორჯერ უნდა გაეტანა, მაგრამ ალადაშვილის საგოლე პასებისას კოტრიკაძეს გამოცდილებამ ულალატა. მერე და მერე კი მასპინძლებმა ტემპი გაზარდეს და მწყობრად შეუდგნენ მცხეთელთა ნგრევას.



„სპარტაკმა“ უმაღლეს ლიგაში პირველი გამარჯვება გამოჭედა

ვასილ ჭეიშვილის გუნდმა ტაიმის ბოლოს გაათანაბრა, ალადაშვილმა ეფექტურად შეჭედა ბურთი საჯარიმოდან ცინაძის კარში. შესვენებაზეც იმედმიცემულნი გავიდნენ სპარტაკელები. პანოვის ტაქტიკურმა ჩარევამ „მცხეთას“ ვერ უშველა, გუნდმა ვერაფრით დაალაგა თამაში მეორე ნახევარში, მეტოქე კი, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო, ისე ლაღად ბურთაობდა. შეტევა შეტევას მოსდევდა სტუმართა კართან და მალე შეცვლაზე შესულმა კვერენჩხილაძემ, ტატანაშვილთან ეფექტურად გათამაშებულ „კედელს“ მძლავრი დარტყმა მოაყოლა და ბურთი ცხრიანში შეაგდო.

„მცხეთას“ დიდი დრო დარჩა გასათანაბრებლად, მაგრამ ვითარების შეცვლის შანსი პრაქტიკულად არ ჰქონია, „სპარტაკს“ კი სწრაფი შეტევების ხარჯზე რამდენჯერმე შეეძლო ანგარიშის გაზრდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 4 | 1 | 1 | 19:3 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 13:4 | 13 |
| სიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| დილა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 10 |
| ტორპედო | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| თბილისი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:8 | 7 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| მცხეთა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:15 | 7 |
| ბათუმი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:9 | 6 |
| მერცხალი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:17 | 4 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:14 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გმირი შოთა ამსხვრევს



ტრავმამოშუშებული შოთა არველაძე (მარჯვნივ) ზედიზედ ორი მატჩია „რეინჯერსის“ მეტოქეებს ბომბავს

ასე დაასათაურა „დანდი იუნაიტედი“ — „რეინჯერსის“ მატჩის რეპორტაჟი ბრიტანეთის ყველაზე მაღალტირაჟიანმა გაზეთმა „სანმა“.

„სანი“ იხსენებს შოთას გოლს კოპენჰაგენში და ქებას არც მისი „დანდი იუნაიტედის“ კარში გატანილს აკლებს. მერე კი „სანი“ არველაძესა და ალექს მაკლიშს ალაპარაკებს.

*შოთა არველაძე:* „მძიმე კვირა იყო და ამ თამაშისთვის თითქოს ყველას ფეხები გვქონდა დამძიმებული. არ ვიცი, როგორ მოვიკრიფე ძალა, როცა მატჩის მიწურულს ბურთი მომივიდა, მაგრამ როგორღაც შევინარჩუნე გოლის გატანისთვის საჭირო კონცენტრაცია. სეზონისთვის ტრავმის გამო სრულფასოვნად ვერ მოვემზადე, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა ძალიან წამადგება. ეს ძალიან საჭირო გამარჯვება იყო, თუმც კარგად გვესმის, რომ უკეთ თამაში შეგვიძლია და მკვლელის შტრიხები უნდა გამოვაჩინოთ“.

*ალექს მაკლიში:* „ბრწყინვალე გოლი იყო, დამაგვირგვინებელი დარტყმა მართლაც აუღებელი გამოდგა. არველაძემ სეზონი ძალიან კარგად დაიწყო და აჩვენა, თუ რაოდენ პირველხარისხოვანია მისი თამაში. სეზონის დაწყებამდე მას ვესაუბრე და ვუთხარი, რომ შესაძლოა, ეს შენთვის დიდი სეზონი იყოს-მეთქი“.

# მაიკლი ანუ მიხო მეორე სართულზე

**რუსეთში** კვლავ მოიგო „ლოკომოტივმა“ და ამაში მიხეილ აშვეთიას ხელი (თავი) ერია. ქართველმა შემტევმა ისევ „მეორე სართულზე“ ივარგა და რუს ჟურნალისტებს ათქმევინა, ინგლისური გოლები აშვეთიას საფირმო ნიშანიაო. მიხოს გოლი მართლაც მნიშვნელოვანი იყო „კრილიასთან“ მატჩში, რაკიღა თამაშის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე „ლოკომოტივი“ აგებდა და ქართველიც ლოსკოვის კუთხურს აუხტა საგოლედ. ამის შემდეგ მასპინძლებს გული მოეცათ და შეცვლაზე ეფექტურად შესულმა ლოსკოვმა ბოლოს თავად გაიტანა.

შაბათს საღამოს მოსკოვიდან ელისტაში ჩაფრენილ თვითმფრინავს ვალერი აბრამიძეც ჩაჰყვა. გაუმართლა ქართველს. „ურალანს“ ცეცხლი უკიდია, რაკიღა სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია გამოუწერეს წიკლაურს და კოლოდინს. კოლოდინი მცველია და ელისტელებს მისი შემცვლელი დასჭირდათ. აქ კი საქმეში რევაზ ძოძუაშვილი ჩაერია, „ურალანის“ ყოფილმა თავკაცმა ნაცნობებს აბრამიძე შესთავაზა და ბოლოს მიაღწია კიდეც საწადელს. მოკლედ, „სპარტაკისგან“ ათვალწუნებულ მცველს ეშველა, გუნდი გამოუჩნდა, მაგრამ საკითხავია, რა ეშველება თავად „ურალანს“, რომელიც უშუალო კონკურენტ „როტორთან“ მარცხის შემდეგ გასავარდგანდ განწირულ „ტორპედო-მეტალურგს“ შეუამხანაგდა. აბრამიძემ შეცვლაზე ითამაშა, იმ დროისთვის „როტორს“ გამარჯვებისა უკვე გატანილი ჰქონდა. ბევრს ცდილობდა „ურალანის“ მეორე ქართველი ვასილ გიგიაძეც, მაგრამ ამაოდ, თუმც იგი მასპინძელთა რიგებში საუკეთესოდ ცნეს.

ალექსანდრე რეხვიაშვილის კაპიტნობა ვერ წაადგა „ტორპედო მეტალურგს“. მოსკოველებმა გადარჩენის ფაქტობრივად ბოლო შანსი დაკარგეს და კაპიტულაცია გამოუცხადეს შინაურ კედლებში „როსტოვს“.

გერმანიაში თასის გათამაშება დაიწყო და ბუნდესლიგელებს პირველ ტურში ყარტა-ყურტა მეტოქეები ერგოთ. „შალკემ“ სარეზერვოებით გაგუდა „ანდლინგი“, კობიაშვილი განაცხადშიც კი არ შეუყვანიათ გელზენკირხენელებს. იაშვილმა კი მხოლოდ ერთი გოლი იკმარა „ემენდინგენთან“ გასვლაზე. ქართველს სხვაც ჰქონდა გასატანი. „ფრაიბურგის“ 4:1-ით გამარჯვების უშუალო მონაწილე ვერ გახდა ტრავმირებული ლევან ცქიტიშვილი. ხვიჩა შუბითიძე „აუე“ — „ფიურტის“ მატჩში შეცვალეს. ქართველის გუნდს შანსი არ ჰქონია, „ფიურტმა“ პირწმინდად დაჩაგრა მეორე ბუნდესლიგის დებიუტანტი.

დანაპირები ვერ აასრულა გოგა გახოკიძემ. ყოფილ კლუბთან მთელი მატჩის განმავლობაში ამაოდ დაშვრა ქართველი — „ტვენტემ“ ვერაფერი მოუხერხა პსვ-ს საპირველტაიმო ორი გოლს.

უკრაინაში გიორგი დემეტრაძემ აიწყვიტა. დონბასელმა მეტალურგებმა ერთ-ერთი ლიდერი „დნიპრო“ წაახდინეს. დემემ დუბლი გამოჭედა, ჯერ პირველ ტაიმში აუღელვებლად შეაგდო პენალტი, 67-ე წუთზე კი საჯარიმოში შერბენილმა აუღებელი დაურტყა დნეპრისპირელთა მეკარეს. ჯამარაული ბოლოს შეცვალეს, დონბასელებმა კი 3:1 გაიმარჯვეს.

ქართველებს ყაზახეთშიც შეეხედებათ. გამორჩევით დავით ჯანაშიას და ლევან ბაჯელიძის „ატირაუ“ ყოჩაღობს. მათმა გუნდმა მეოთხე ადგილზე აინაცვლა და სწორედ ქართველის წყალობით — „ელიმაისთან“ მატჩის ერთადერთი გოლი ბაჯელიძემ შეაგდო. მალე გუნდის გამოცვლა მოუწევთ გელა ქორიძეს და დავით ჩოხელს, რაკიღა მათმა „ესილმა“ ბოლო ტურშიც წააგო და დღესდღეობით უიმედო აუტსაიდერია.

**ბაატა ძვანტალიანი**



მიხეილ აშვეთია „ლოკომოტივში“ მეორედ დაიბადა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. თასის პირველი ეტაპი** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ანდლინგი 3:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ემენდინგენი 4:1 | 90 | 1 გოლი | 1 | 1 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ემენდინგენი 4:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ფიურტი 0:3 | 60 | შეცვალეს | 1 | 0 | |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანდი იუნაიტედი 3:1 | 90 | 1 გოლი | 2 | 1 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | დანდი იუნაიტედი 3:1 | 90 | | 4 | 0 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | კილმარნოკი 1:1 | 90 | საგოლე პასი, გააფრთხილეს | 4 | 0 | 4 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | პსვ 0:2 | 90 | | 3 | 0 | 5 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ადმირა 1:2 | 58 | შეცვალეს | 5 | 0 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | კრილია 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 11 | 1 | 5 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | კრილია 2:1 | 90 | 1 გოლი | 7 | 5 | 5 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | ტორპედო 2:4 | 76 | შეცვალეს | 15 | 3 | 4 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | ტორპედო 2:4 | 90 | | 10 | 0 | 4 |
| ვალერი აბრამიძე | ურალანი | შ | როტორი 0:1 | 37 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | შ | როტორი 0:1 | 90 | | 8 | 2 | 15 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | შ | როტორი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | ს | ტ. მეტალურგი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | შ | როსტოვი 0:3 | 90 | | 19 | 1 | 16 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | რუბინი 4:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | ს | შინიკი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 11 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | ვისლა 2:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 2 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | არსენალი 1:1 | 90 | | 6 | 1 | 11 |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | დნიპრო 3:1 | 86 | შეცვალეს | 7 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | დნიპრო 3:1 | 90 | 2 გოლი | 7 | 5 | 4 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | ვორსკლა 1:1 | 90 | | 7 | 0 | 13 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | არსენალი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 11 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ილიჩევეცი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 8 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ტავრია 1:1 | 90 | | 6 | 3 | 10 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | ს | ტავრია 1:1 | 90 | | 3 | 0 | 10 |
| **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | პეჩი | ს | სოპრონი 1:3 | 90 | | 2 | 0 | 1 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | სლავია 0:2 | 70 | შეცვალეს | 3 | 1 | 7 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | ს | ლოკომოტივი 2:3 | 72 | შეცვალეს | 3 | 0 | 14 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | შ | ეკიბასტუზეცი 2:1 | 90 | | 14 | 1 | 16 |
| სანდრო ბურნაძე | ჟეტისუ | შ | კაირატი 3:1 | 90 | | 4 | 0 | 5 |
| დავით ჯანაშია | ატირაუ | შ | ელიმაი 1:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 2 | 4 |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | შ | ელიმაი 1:0 | 73 | შეცვალეს, 1 გოლი | 2 | 1 | 4 |
| გელა ქორიძე | ესილი | შ | ჟენისი 0:1 | 90 | | 3 | 0 | 17 |
| დავით ჩოხელი | ესილი | შ | ჟენისი 0:1 | 34 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 17 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## ინგლისი

### პრემიერლიგა. IV ტური

**მანჩესტერ სიტი 1:2 არსენალი**

1:0 ლორენი (10ს.კ.), 1:1 ვილტორდი (48), 1:2 ლიუნგბერგი (72)

სიტი: სიმენი, ჟიხაი, სომეილი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი (ბერკოვიჩი 79), ბოსველტი (ფაულერი 79), ბარტონი, სინკლერი, სიბიერსკი (ტიატო 68), ანელკა

მწვრთნელი: კევინ კიგანი

არსენალი: ლემანი, ლორენი, კოლუნი, ტურე, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (პარლოუ 76), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი (დეუ 83), ანრი, ვილტორდი (ბერხკამპი 71)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ბარტონი, სომეილი, ტარნატი, ტიატო, კოული, ლორენი, ლიუნგბერგი

მსაჯი: პოლი

46 436 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:0 მანჩესტერი**

1:0 ბიტი (88)

საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, მ. სვენსონი, ლე სო, მაკკენი (მარსდენი 61), ოუკლი, ტელფერი, ფერნანდესი (ა. სვენსონი 85), ბიტი, ფილიპსი (ორმეროდი 76)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, ოში, სილვესტრი, ფ. ნევილი (ფორჩუნი 89), გიგზი, როი კინი, ჯემბა-ჯემბა (ბათი 77), კლებერსონი (კ. რონალდო 67), ფორლანი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: მაკკენი

მსაჯი: პეისლი

32 346 მაყურებელი

**ევერტონი 0:3 ლივერპული**

0:1, 0:2 ოუენი (39, 52), 0:3 კიუელი (80)

ევერტონი: სიმონსენი, პისტონე, იობო, სტაბსი, ანსუორთი (გრაველსენი 45), უოტსონი, ლინდეროტი (ფერგიუსონი 71), პემბრიჯი, ნეისმიტი, რაძინსკი, რუნი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ბიშკანი, ჰიპია, კარაგერი, ჯერარდი, დიუფი (რიისე 89), შმიცერი (მერფი 72), კიუელი, ბაროში (ჰესკი 73), ოუენი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ნეისმიტი, უოტსონი, რუნი, კიუელი, ფინანი, ბაროში

მსაჯი: რილი

40 200 მაყურებელი

**ჩელსი 2:2 ბლეკბერნი**

0:1 კოული (1), 1:1 მუტუ (45), 1:2 კოული (58), 2:2 ჰასელბაინკი (63პ)

ჩელსი: კუდიჩინი, ჯონსონი, ტერი, დესაი, ბრიჯი (ჯ. კოული 84), ვერონი, ლამპარდი, ჯერემი, დაფი (პეტი 45), მუტუ (კრესპო 75), ჰასელბაინკი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ბლეკბერნი: ფრიდელი, ნეილი, ამორუზო, ბაბელი, გრეშკო, ფლიტკროფტი, თუგაი (მ. ტეილორი 84), რიდი (იოჰანსონი 72), ტომპსონი, ენდი კოული, იანსენი (გალაჰერი 73)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: რიდი, ამორუზო, ტომპსონი, ფლიტკროფტი

მსაჯი: დინი

41 066 მაყურებელი

**ნიუკასლი 0:1 ბირმინგემი**

0:1 დანი (61)

ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ობრაიენი, ბრამბლი, სპიდი, სოლანო (ბოიერი 66), ჯენასი, დაიერი, ვიანა (რობერი 66), შირერი, ამეობი (ჩოპრა 66)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

ბირმინგემი: ტეილორი, კენა, აპსონი, კანინგემი, კლემენი, ჯონსონი, სევიჯი, კლემენსი, ლაზარიდისი (სისე 79), ჯონი (მორისფილდი 71), დანი (ტებილი 88)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: ჯენასი, სპიდი, კენა

მსაჯი: მესიასი

42 006 მაყურებელი

**ბოლტონი 0:0 ჩარლტონი**

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ტომი, ლევი, გარდნერი, კამპო, ნოლანი, ჯორკაეფი, ოკოჩა, პედერსენი (იანაკოპულოსი 45), დევისი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ჩარლტონი: კილი, იანგი, ფიში, ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, კიშიშევი, ჰოლანდი, პარკერი, იენსენი (ლისბი 77), იუელი, ბარტლეტი (იოჰანსონი 66)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: დევისი, იასკელაინენი, კამპო, ოკოჩა, ჰრეიდარსონი, ფორჩუნი

მსაჯი: უილი

23 098 მაყურებელი

**ასტონ ვილა 3:1 ლესტერი**

1:0 ტეტჩერი (8ს.კ.), 2:0, 3:0 ანხელი (10, 16), 3:1 იზეტი (53)

ასტონ ვილა: სორენსენი, დელენეი, მელბერგი, იონსენი (ალფაი 77), სამუელი, ჰენდრი (დე ლა კრუზი 83), მაკკენი, ჰიტცლსპერგერი, ვიტინგემი, ანხელი, ვასელი (დაბლინი 83)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

ლესტერი: უოლკერი, კერტისი (იმფი 4), ჰოუვი (ნალისი 31), ტეტჩერი, როჯერსი, სკაუკროფტი, იზეტი, შიმეკა, გილესპი, ფერდინანდი, დიკოვი (სტიუარტი 79)

მწვრთნელი: მიკი ადამსი

გაფრთხილება: იონსენი, ფერდინანდი, იზეტი

გაძევება: ფერდინანდი (40)

მსაჯი: ბენეტი

32 274 მაყურებელი

**ვულვერჰემპტონი 0:0 პორტსმუთი**

ვულვერჰემპტონი: ოუკსი, ირვინი, კრადოკი, ბატლერი, ნეილორი, ნიუტონი, რაე (გუდიონსონი 80), ინსი, კამერონი, კამარა, ბლეიკი

მწვრთნელი: დეივ ჯონსი

პორტსმუთი: ჰისლოპი, შემელი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ქივკოვიჩი, სტოუნი (სმერტინი 68), ფაიე, კოში, ბერგერი, აიეგბინი (პერიკარი 85), შერინგემი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: ბატლერი, რაე, ინსი, კოში, სტოუნი, შემელი, ქივკოვიჩი, აიეგბინი

მსაჯი: დურსო

28 860 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:3 ლიდსი**

0:1 სახო (16), 1:1 ნემეტი (60), 2:1 ჟუნინიო (63), 2:2 კამარა (77), 2:3 ვიდუკა (89)

მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, საუთგეიტი, დევისი, პარნაბი (სტოკდეილი 52), მენდიეტა, ბოატენგი, ჟუნინიო პაულისტა, გრინინგი, ნემეტი (რიკეტსი 88), ჟობი (კრისტი 82)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ლიდსი: რობინსონი, კელი, კამარა, მატეო, ჰარტი (ლენონი 71), პენანტი, მორისი, სეტ ჯონსონი, სახო (რადებე 84), სმიტი, ვიდუკა

მწვრთნელი: პიტერ რიდი

გაფრთხილება: ჟუნინიო, მენდიეტა, მორისი, სმიტი, პენანტი

მსაჯი: ბარი

30 414 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:3 ფულემი**

0:1, 0:2 ჰეილსი (23, 67), 0:3 ბოა მორტე (71)

ტოტენჰემი: კელერი, კინგი (ზამორა 45), რიჩარდსი, გარდნერი, კარი, რედნაპი, დევისი (ანდერტონი 58), რიკეტსი, ტარიკო, პოსტიგა, კანო

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, გომა, ნაიტი, ბონისელი, ინამოტო, ლეგვინსკი, კლარკი, მალბრანკი, ჰეილსი (საჰა 73), ბოა მორტე

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: ინამოტო, ვოლცი

მსაჯი: ვინტერი

33 421 მაყურებელი

# ომში ვართ



REUTERS საუთჰემპტონიდან

საუთჰემპტონი — მანჩესტერი. ფილ ნევილმა და მიკაელ სილვესტრომ ბურთისთვის თავ-პირი იმტვრიეს

**ოთხი თამაშის თავზე** პრემიერლიგაში ოთხი წაუგებელი გუნდი დარჩა. ამათგან ორია „არსენალი" და „საუთჰემპტონი". კვირას ორივე მათგანმა მანჩესტერული გუნდები დაამარცხა: „მეთოფეებმა" სტუმრად, ახალ სტადიონზე სძლიეს „სიტის" 2:1, სამხრეთელებმა კი თავიანთ მინდორზე მოუგეს „იუნაიტედს" 1:0.

ოღონდ, ამ გამარჯვებებით, „არსენალი" ლიდერი შეიქნა, რადგან ზედიზედ მეოთხედ მოიგო, „საუთჰემპტონმა" კი სამი ფრის კვალად პირველად გაიმარჯვა.

რუსულ-ქართული ტელეკომპანიებისგან პრემიერლიგის თამაშებით დასაჩუქრებულმა თბილისელმა მაყურებელმა ამ უქმეებზე თუ იხილა სადმე ინგლისური თამაშები, ალბათ, ტოტალიზატორების დარბაზებში, ვინაიდან შაბათს ულენობამ ხალხის თვალს მოაცილა 169-ე მერსისაიდული დერბი, კვირას კი „სიტი" — „მეთოფეთა" თამაში. ამის ჯავრი, დენის ვერმომწესრიგებლებს, ცხადია, არა აქვთ, იმათ მხოლოდ პოლიტიკის ჯავრი აქვთ, მაგრამ მათზე არანაკლებ ჯავრიანი იყო შაბათს „ლივერპულის" მწვრთნელი ჟერარ ულიე, რომელიც პრემიერლიგაში საშინელი სტარტის შემდეგ ნალდად ნიჩაბზე იდო, თუმცა კლუბიდან ჩქამსაც არ გამოუჟონავს, მხოლოდ ბუქმეიკერთა დაბალი ფსონებით მიხვდებოდით, რომ ფრანგს საქმე ცუდად აქვს. მაგრამ „ლივერპული" ეწვია „ევერტონს" „გუდისონ პარკზე" და 3:0 დაამარცხა. მაიკლ ოუენმა ორი გოლი გაიტანა, ერთიც, როგორც იქნა, დააყოლა ჰარი კიუელმა.

ეს იყო წითლების ზედიზედ მეოთხე მოგება „გუდისონ პარკზე", რითაც, წარმოიდგინეთ და, ულიე ისტორიაში შევიდა. თვით დიდი „ლივერპულის" მწვრთნელებს, შენკლის და პეისლის ვერ მოუგიათ ზედიზედ ოთხჯერ გასვლითი თამაში ტკბილეულობისთვის („ევერტონის" მეტსახელია). გახარებული ულიე ყველას მადლობას უხდიდა: „მადლობა ფანებს, მადლობა ბიჭებს, რომლებსაც ხასიათი არ წაუხდათ. მათ ვთხოვე, საგანგებოდ განწყობილიყვნენ".

და მაინც, ეს არ იყო სამბურთიანი სხვაობის თამაში, უბრალოდ, ეს არც უინ რუნის დღე იყო და არც „ევერტონისა". „არსენალი" კი უკვე მე-10 წუთზე აგებდა „სიტი ოფ მანჩესტერის" სტადიონზე: საკუთარ კარში გაიტანა და საერთოდაც, ეს კამერუნელი როგორღაც დაძაბული იყო, თამაშის მიწურულს კინაღამ მარტინ კიოუნსაც გაატანინა ავტოგოლი. სხვაფრივ კი, „სიტი" იბრძოდა, ოღონდ, „მეთოფეებმა" მაინც თავისი გაიტანეს: მეორე ტაიმის დასაწყისში ჯერ ვილტორდმა შეაგდო ეშლი კოულის დაბალი პასით, შუა ტაიმში კი ფრედი ლიუნგბერგმა. ნიკოლა ანელკას ამ ჯერზე მიზანი არ უვარგოდა, კევინ კიგანმა კი თქვა: „მათი სისწრაფე და ბურთის ფლობა სანიმუშოა. აი, რა უნდა ვისწავლოთ მათგან".

შაბათს კიდევ უფრო გაძლიერებული „ჩელსის" მოგებას ხელების ფშვნეტით ელოდა რომან აბრამოვიჩი. სწორედ „ჩელსია" კიდევ ერთი წაუგებელი გუნდი. ოღონდ, საქმე ისე გამოვიდა, რომ მისი გუნდი ორჯერ აგებდა სტუმარ „ბლეკბერნთან" და ორივე გოლი ენდი კოულისგან გაუშვა. მართალია, მეორე კარლო კუდიჩინის ნაჩუქარი იყო, მაგრამ „ბლეკბერნს" გააქვს ბევრი და უშვებს ბევრს და თუ ადრიან მუტუს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს, მან მაინც გაიტანა თავისი და პირველად გაათანაბრა ანგარიში, მერე კი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა პენალტით გაქვითა.

საშინელი კვირა გამოუვიდა „ნიუკასლს" რომელმაც რვა დღეში სამი თამაში წააგო მშობლიურ მინდორზე, აქედან შუა ჩემპიონთა ლიგის საგზურად დაჯდა. შაბათს კი შეი გივენმა პენალტი აულო ბირმინგემელ დევიდ დანს, ოღონდ მის დამატებულს ვეღარ მიუსწრო და ჯორდებმა კვლავ წააგეს. „ეს არის უსაშინლესი კვირა ჩემს კარიერაში" — თქვა 70 წლის ბობი რობსონმა — შინ სამი თამაში ზედიზედ არასდროს წამიგია. ტრავმებით, დრამებით, ტკივილებით სავსე კვირა იყო".

საუთჰემპტონის „სენტ მერიზე" იქაურებმა აჯობეს „მანჩესტერს", თამაშით აჯობეს და მეკარე ტიმ ჰოვარდიც გვარიანად ამუშავეს. თამაშის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, როცა გრემ ლე სოს ჩაწოდებულ კუთხურს ჯეიმს ბიტიმ თავი წაუცაცუნა და ვერავინ თქვა, რომ „საუთჰემპტონს" არ ეკუთვნოდა ეს გამარჯვება. „მანჩესტერი" იყო არაორგანიზებული და აგრესიული არ ჩანდა ტრავმირებული პოლ სქოულზი, დაუშავდა კლებერსონი და თუმცა გარი ნევილი დაბრუნდა და 62-ე წუთზე კრისტიანო რონალდოც შეუშვეს, მაგრამ ერთადერთი საგოლე მომენტი დიეგო ფორლანს ჰქონდა. უვარგისი თამაში ფილ ნევილმა „სენტ მერის" მინდვრის სიმშრალეს გადააბრალა, გახარებულმა გორდონ სტრაჩანმა კი თქვა: „ბიტი იღბალა ბიჭია, თუმცა მისი გოლი თამაშის არსიდან გამომდინარეობდა".

მეოთხე ტურში პირველად მოიგეს „ასტონ ვილამ" და „ლიდსმა", „ფულემმა" „ტოტენჰემი" მოსპო სტუმრად, წაუგებელი „პორტსმუთი" კი ქულით წამოვიდა „ვულვერჰემპტონიდან", სადაც მსაჯმა დენი დურსომ 25-წლიან კარიერაში პირველად გააძევა ტრიბუნებზე მეზღვაურთა მენეჯერი ჰარი რედნაპი. მენეჯერი ალაშფოთა ფორვარდ იაკუბუ აიეგბინის მოცელვამ და მსაჯის დუმილმა: „წლევანდელ პრემიერლიგაში თამაშში შვიდ-რვა ყვითელი ბარათი ფრიალებს. ეს ნიშნავს, რომ ომში ვართ. მსაჯს კვითხე, შეღავათი რაღა ჩვენზე უნდა გაკეთდეს-მეთქი, მან კი გამაძევა".

**ირაკლი გამყრელიძე**

## პირველი დივიზიონი

### I დივიზიონი. V ტური

**ბრედფორდი 0:4 სანდერლენდი**

0:1 ბრინი (10), 0:2 მ. სტიუარტი (15), 0:3 არკა (31), 0:4 ტორნტონი (76)

**ბარნლი 1:0 ძრიუ**

1:0 ჩაპლოუ (52)

**დერბი ძაუნთი 0:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ჰალსი (76)

**იფსვიჩი 1:2 ვესტ ჰემი**

0:1 დეფო (21), 0:2 კონოლი (47), 1:2 ჯ. რაიტი (65)

**მილუოლი 1:1 კრისტალ პალასი**

0:1 უოტსონი (67), 1:1 პიტერსი (90)

**პრესტონი 1:0 სტოკი**

1:0 მაკკენა (19)

**როტერჰემი 0:3 უიგანი**

0:1 ჟარეტი (53), 0:2 ჯოუნსი (59), 0:3 რობერტსი (72)

**შეფილდ უენსდი 2:1 ძოვენთრი**

1:0 ბრაუნი (42პ), 1:1 სუფო (67), 2:1 ლესტერი (87)

**უოლსოლი 1:1 კარდიფი**

1:0 ლეიტაო (50), 1:1 ველი (90)

**უოტფორდი 2:2 ჯილინგემი**

1:0 ჰელგუსონი (6), 1:1 შოუ (52), 2:1 ვებერი (53), 2:2 სპილერი (63)

**უიმბლდონი 0:3 რედინგი**

0:1 გოატერი (12), 0:2 ჰიუზი (53), 0:3 გოატერი (69)

**ნოტინგემი 2:0 ნორვიჩი**

1:0 ჯონსონი (38), 2:0 ჰარევუდი (51პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:5 | 12 |
| რედინგი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| შეფილდი | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 11 |
| უიგანი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| კრ. პალასი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| ვესტ ჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| სანდერლენდი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:3 | 9 |
| მილუოლი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| ნოტინგემი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| სტოკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| კარდიფი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ნორვიჩი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ქრიუ | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| უოლსოლი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:4 | 6 |
| ბარნლი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| ჯილინგემი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| როტერჰემი | 5 | 1 | 2 | 2 | 1:5 | 5 |
| პრესტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| ბრედფორდი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| უიმბლდონი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:12 | 3 |
| იფსვიჩი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |
| ქოვენთრი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| უოტფორდი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |
| დერბი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

## მეორე დივიზიონი

მე-5 ტური: ბარნსლი — ნოტსი 1:1; ბრისტოლი — გრიმზბი 1:0; ლუთონი — ჰარტლპული 3:2; ოლდემი — რაშდენი 3:2; პიტერბრო — სტოკპორტი 1:2; პლიმუთი — ბრაიტონი 3:3; პორტ ვეილი — ბრენტფორდი 1:0; ქუინზ პარკი — ჩესტერფილდი 3:0; სუინდონი — ბლეკპული 2:2; ტრანმერი — კოლჩესტერი 1:1; რექსემი — ბორნმუთი 0:1. უიკომბი — უესდი ნუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე)

## მესამე დივიზიონი

მე-5 ტური: კარლაილი — კემბრიჯი 0:0; ჰადერსფილდი — როჩდეილი 2:1; ჰალი — ბოსტონი 2:1; კიდერმინსტერი — ოქსფორდი 1:1; ლეიტონი — ჩელტენემი 1:1; ლინკოლნი — იორკი 3:0; მაკლსფილდი — იოვილი 4:1; ნორთჰემპტონი — დონკასტერი 1:0; როჩდეილი — დარლინგტონი 4:2; სკანთორპი — ტორკი 2:1; საუთენდი — ბერი 1:0; სუონსი — მენსფილდი 4:1

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 |
| 2 მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 5 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 3 პორტსმუთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 4 სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 |
| 5 ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 6 ბირმინგემი | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 7 ფულემი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 8 საუთჰემპტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 9 ბლეკბერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 11:8 | 3 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 10 ლივერპული | 4 | 1 | 2 | 1 | 4:2 | 2 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 |
| 11 ჩარლტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 | 4 |
| 12 ლიდსი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 13 ასტონ ვილა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 14 ევერტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 15 ტოტენჰემი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 16 ლესტერი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 17 ბოლტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:10 | -8 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | -8 | 0 |
| 18 ნიუკასლი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 19 მიდლსბრო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 20 ვულვზი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:10 | -9 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | -4 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შერინგემი (პორტსმუთი) | 4 |
| ენდი კოული (ბლეკბერნი) | 4 |
| შირერი (ნიუკასლი) | 3 |
| იუელი (ჩარლტონი) | 3 |
| ანრი (არსენალი) | 3 |
| ჰეილსი (ფულემი) | 3 |
| ოუენი (ლივერპული) | 3 |
| ვილტორდი (არსენალი) | 3 |

## V ტური

13 სექტემბერი

არსენალი — პორტსმუთი
ბირმინგემი — ფულემი
ბლეკბერნი — ლივერპული
ბოლტონი — მიდლსბრო
ჩარლტონი — მანჩესტერი
ჩელსი — ტოტენჰემი
ევერტონი — ნიუკასლი
ლესტერი — ლიდსი
სიტი — ასტონ ვილა
საუთჰემპტონი — ვულვზი

REUTERS ბილბაოდან



რონალდინიომ ბილბაოში კარგად ითამაშა...

# ოსასუნა, ოღონდ ჯერჯერობით

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. I ტური

**ბილბაო 0:1 ბარსელონა**

0:1 კოკუ (11)
ბილბაო: არანსუბია, ლარასაბალი, კარანკა, ლაკრუზი, იესტე (იონანი 76), ხავი გონსალესი, ირაოლა (ურსაისი 61), გურპეგი, ტიკო, ესკერო (გერერო 82), ეჩებერია
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
ბარსელონა: ვიქტორ ვალდესი, რაიციგერი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, კოკუ, ხერარდი, ლუის ენრიკე, სავიოლა (ოვერმარსი 45), რონალდინიო, კვარესმა
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: პუიოლი, კარანკა, ხერარდი
მსაჯი: უნდიანო მალენსო
40 000 მაყურებელი

**რეალი 2:1 ბეტისი**

1:0 ბექჰემი (2), 1:1 ხუანიტო (33), 2:1 რონალდო (61)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, ელგერა, რაულ ბრავო, ზიდანი (მორიენტესი 86), ფიგუ, კამბიასო, ბექჰემი, რაული (სოლარი 77), რონალდო (პორტილიო 86)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
ბეტისი: კონტრერასი, მინგო, ხუანიტო, ვარელა (იტო 85), ლემბო, არსუ, კაპი, ისმაელი (ფერნანდო 59), ხოაკინი, ასუნსაო, პალერმო (მალდონადო 73)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ვარელა, რონალდო, ლემბო, არსუ, კაპი, რობერტო კარლოსი
მსაჯი: კარმონა მენდესი
60 000 მაყურებელი

**სელტა 1:1 მურსია**

1:0 მილოშევიჩი (29), 1:1 ლუის გარსია (72პ)
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, კონტრერასი, მოსტოვოი, ხოსე იგნასიო (იანდრო 78), ლუქსენი, მილოშევიჩი (კატანია 66), ედუ, ხესული (ვაგნერი 66)
მწვრთნელი: მიგელ ლოტინა
მურსია: სანჩეს ბროტო, როტეტა, ხუანმა, კუადრადო, მაკიელი, პედრო ლარგო, აკიარი, რობერტო (კინტანა 68), მიჩელი (ლოეშბორი 89), ლუის გარსია, რიჩი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო
გაფრთხილება: კუადრადო, მაკიელი, როტეტა
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
18 000 მაყურებელი

**სევილია 1:0 ატლეტიკო**

1:0 ბაპტისტა (26)
სევილია: ნოტარიო, დავიდ კასტედო, ხავი ნავარო, პაბლო ალფარო, დანიელ ალვესი, კასკერო (მარკოს ვალესი 69), მარტი, გალიარდო (რედონდო 72), ბაპტისტა, დარიო სილვა, რეიესი (ხილი 88)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ატლეტიკო: ბურგოსი, გარსია კალვო, სერხი (სანტი 9), ლეკო, მუსამპა (იბაგაზა 59), ხორხე (ხავი მორენო 76), სიმეონე, აგილერა, როდრიგო, ნოვო, ფერნანდო ტორესი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ხავი ნავარო, სანტი, კასტედო, აგილერა, ნოტარიო
მსაჯი: პერეს ლასა
30 000 მაყურებელი

**სარაგოსა 0:1 დეპორტივო**

0:1 პანდიანი (66)
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, ალვარო, მილიტო, ტოლედო, გალეტი, ჩანი (იორდი 60), სავიო, პონცო, სორიანო (გენერელო 75), ვილა (ველისკა 75)
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
დეპორტივო: მოლინა, ნაიბეტი, ექტორი, კაპდევილა (რომერო 70), ხორხე ანდრადე, მაურო სილვა, ვიქტორი, სერხიო, ვალერონი, ლუკე (დუშერი 78), დიეგო ტრისტანი (პანდიანი 65)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: პონცო, სორიანო, რომერო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
26 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:1 ვალიადოლიდი**

0:1 სოუზა (25), 1:1 აიმარი (77)
*ოლივეირამ ვერ გაიტანა პენალტი (30, მეკარე)*
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, მარჩენა (სისოკო 76), გარიდო (კანობიო 63), კარბონი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე (მისტა 74), ხორხე ლოპესი, ოლივეირა, აიმარი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, ხესუსი (ჩირიჩი 76), ჩემა, როკეტი, კამინერო, ფერნანდო სალესი, მაკუკულა (ოსკარი 70), სოუზა (ჯონათანი 55)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ჩემა, მაკუკულა, კამინერო, ბიზარი, კანობიო, ალბელდა, სისოკო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
45 000 მაყურებელი

**რასინგი 2:1 მალიორკა**

1:0 ბენაიუნი (11), 2:0 ხავი გერერო (69), 2:1 ეტოო (89პ)
რასინგი: რიკარდო, ნერვუ, მორა, ხუანმა, კორომინა, პაბლო ლაგო (მორანი 59), ნაფტი, რეგუერო (ჯონათანი 89), მატაბუენა, ხავი გერერო (ბოდიპო 79), ბენაიუნი
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნინიო, კორტესი, პოლი (ი. სტანკოვიჩი 68), ნადალი, კოლსა (კამპანო 65), ნაგორე, მარკოსი (ხესუს პერერა 46), ტონი გონსალესი, ეტოო, ბრუგინკი
მწვრთნელი: ხაიმე პაჩეკო
გაფრთხილება: ნინიო, რეგუერო, მორანი, ხავი გერერო, კორომინა, ნერუ
მსაჯი: კრისტანტე ოლივა
11 517 მაყურებელი

**ალბასეტე 0:2 ოსასუნა**

0:1 ვალდო (42), 0:2 პუნალი (90პ)
ალბასეტე: როა, ოსკარი, სივიერო (უნაი 55), პენია, პაბლო, ვიაუ, პარი, ლავალი, დელპორტე, ამატო (კაჩა 76), ბასტი (პაჩეკო 60)
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
ოსასუნა: სანზოლი, იზკუერდო, ანტონიო ლოპესი, კრუჩაგა, ხოსეტო, პუნალი, მოპა, პაბლო გარსია, რივერო (ალფრედო 84), ვალდო (ივან როსადო 88), ალოიზი (პალასიოსი 70)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ბასტი, პუნალი, ანტონიო ლოპესი, ლავალი, უნაი, ალფრედო
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
14 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:1 სოსიედადი**

1:0 რეკარტე (22პ), 1:1 კოვაჩევიჩი (56)
ესპანიოლი: ლემენსი, ვომე, ლოპო, დომორო, ბერტრანი, ჟარკი, მაქსი (ჰექტორი 89), ბასტია, ტაიფუნი (ალექს ფერნანდესი 67), ხორდი (მორალესი 77), ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, შურერი, ხაურეგი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, კარპინი, დე პედრო (გაბილონდო 77), არანბურუ, კოვაჩევიჩი, ლი (დე პაულა 85)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: კვარმე, ხაურეგი, ლი, ხორდი, ვომე
მსაჯი: რუბინოს პერესი
17 800 მაყურებელი

**მალაგა 0:0 ვილიარეალი**

მალაგა: არნაუ, ხოსემი, ლიტოსი, ვალკარკე, სანსი (მიგელ ანხელი 82), ხერარდო (ინსუა 56), რომერო, მანუ, დუდა, დიეგო ალონსო (კანაბალი 45), ედგარი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, მარტი, კოლოჩინი, ბელეტი, კიკე ალვარესი, ხავი ვენტა (გიარე 66), ბალესტეროსი, ვიქტორი (როხერი 55), კალეხა, ხოსე მარი (ანდერსონი 86)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: ხოსე მარი, კოლოჩინი, ბალესტეროსი, კოლოჩინი, ვალკარსე, ვალკარსე, სანსი, დუდა, არუაბარენა, მარტი
ნაძევება: კოლოჩინი (52), ვალკარსე (60)
მსაჯი: მუნიოს ფერნანდესი
16 000 მაყურებელი

**მაშ ასე,** საამსეზონო პრიმერადივიზიონში პირველი ტური გაიმართა. და ვინ გაიტანა ახალ სეზონში პირველი გოლი? რეალელმა დევიდ ბექჰემმა. ჩანს, ის ძალიან კარგად მოერგო ახალ გუნდს. ინგლისის ნაკრების კაპიტანმა მესამე წუთზე რინალდოს პასი შეირგო, მეორე ტაიმში კი ბრაზილიელს ვალი დაუბრუნა — რონალდოს გამარჯვების გოლი ბექჰემის წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა. ამ ორ გოლს შორის კი გავიდა ბეტისელთა ერთი საპასუხო, რომლის ავტორიც ხუანიტო შეიქნა. მან ხოაკინის კუთხური აქცია გოლად.

ლიდერი კი, ოდენ ბურთების უკეთესი შეფარდებით, „ოსასუნა“ გახლავთ, რომელმაც პრიმერას ახალწვეული „ალბასეტე“ მისსავე მოედანზე დაიბრიყვა. ანგარიში ოდინდელმა რეალელმა ვალდომ გახსნა, ხოლო მეორე გოლი ივან როსადოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტით პაჩი პუნალმა ბოლო წუთზე შეაგდო.

„ბარსელონამ“ ბილბაოში დასცა „ატლეტიკი“. ერთადერთი გოლი ფილიპ კოკუმ გაიტანა მე-12 წუთზე, როცა ახალწვეული თანამემამულე ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ჩაწოდებულ საჯარიმოს მარჯვედ დაუხვედრა თავი. ცხადია, ამ შეხვედრაში გვარიანი ყურადღება რონალდინიოსკენ იყო მიპყრობილი და მანაც რამდენჯერმე ჭკვიანური პასი გააკეთა, თუმცა ბრაზილიელის თამაშს ბრწყინვალე არ ეთქმოდა.

ესპანეთის სუპერთასის დათმობის მერე „მალიორკამ“ ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩიც დათმო. კუნძულელები სანტანდერში დაიჩაგრნენ. „რასინგის“ გამარჯვების სულისჩამდგმელი ებრაელი ლეგიონერი იოსი ბენაიუნი შეიქნა, ვინაც ჩინებული თამაშის გარდა პირველი გოლის ავტორობაც მიითვალა. ამ გოლის მერე თამაში ისე გაგრძელდა, რომ „რასინგის“ საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია და ბასკმა ხავი გერერომ სანტანდერელთა უპირატესობა მეორე გოლითაც გაამყარა. ერთადერთი, რასაც მალიორკელები გამორჩნენ, მატჩის მიწურულს სამუელ ეტოოს პენალტით გატანილი გოლი იყო.

ეჯებ „მალიორკას“ საქმე უკეთესად წარმართულიყო, კუნძულელებს შარშან იჯარით წაყვანილი ვალტერ პანდიანი უკან „დეპორტივოში“ რომ არ დაებრუნებინათ. პანდიანიმ კი შარშან „მალიორკას“ რომ აგებინებდა თამაშებს, ახლა გალისიელებს მოაგებინა.

„სარაგოსასთან“ შეხვედრაში „დეპორტივოს“ მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ „ბაიერნში“ გაშვებული როი მაკაის ნაცვლად დიეგო ტრისტანი ათამაშა და რომ შეატყო, გოლის გამტანი არ იყო, პანდიანით შეცვალა. სწორადაც მოიქცა — ურუგვაელი ფორვარდი სულ რაღაც ორი წუთის შესული იყო მოედანზე ლაკორუნიელთა გამარჯვებისა რომ გაიტანა.

ვინძლო ხშირად მოგვიხდეს ბრაზილიელი ბაპტისტას ხსენება. ეს ფეხბურთელი „სევილიამ“ ახლახან შეიძინა და პირველ გამარჯვებასაც მას უნდა უმადლოდეს — ბაპტისტას გოლით სევილიელებმა მადრიდის „ატლეტიკო“ დაამარცხეს.

პირველი ტურის ოთხი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა და მათგან მხოლოდ ერთში არ გასულა გოლი. ეს შეხვედრა, მალაგასა“ და „ვილიარეალს“ შორის, ტურის ყველაზე უინტერესოც გამოდგა, რაკი ორივე გუნდმა დაცვას მიაქცია მეტი ყურადღება. თუმცა ისიცაა, რომ მსაჯს ორჯერ მოუხდა ფეხბურთელთა გასახდელში გასტუმრება. ჯერ სტუმარმა ფაბრიციო კოლოჩინიმ მიიღო ორი გაფრთხილება, მერე კი მასპინძელმა ვისენტე ვალკარსემ.

წინა სეზონის მეორეადგილოსან „სოსიედადს“ გვარიანად გაუჭირდა ბარსელონას მეორე გუნდთან ჭიდილი. ბასკები „ესპანიოლის“ კამერუნელმა პიერ ვომემ დაამწუხრა და დიდი გაჭირვებით გამორჩნენ ფრეს. საპასუხო გოლი დარკო კოვაჩევიჩმა მიიწერა, თუმცა სერბის დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ სანსებასტიანელთა ახალწვეულის, კორეელი ჩუნ-სუ ლის ისედაც კარში მიმავალ ბურთს ფეხი მიარტყა.

„ვალენსია“ დიდ უპირატესობას ფლობდა „ვალიადოლიდთან“ მატჩში, მაგრამ ისე დაემართა, რომ გოლი საკუთარ კარში მიიღო. ვალენსიელებმა გათანაბრება ბოლოსკენლა შეძლეს, როცა პაბლო აიმარის 20 მეტრიდან დარტყმულს ალბანო ბიზარიმ ვერაფერი მოუხერხა.

„სელტასთვის“ კი მეტისმეტი ტვირთი უნდა იყოს ერთდროულად ორ შეჯიბრში — ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში — თამაში. ყოველ შემთხვევაში, ვიგოელები სეგუნდადივიზიონიდან ამოსულ „მურსიასთან“ ოდენ ფრეს დასჯერდნენ.

**კოტე ძებელია**



REUTERS მადრიდიდან

–დევიდ ბექჰემმა კი მადრიდში ძალიან კარგად

**საბოლოო ცხრილი**

| № | გუნდი | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოსასუნა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 2 | რასინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 | რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 5 | სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 | დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 7 | სოსიედადი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 | ესპანიოლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 | ვალიადოლიდი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 | მურსია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 | ვალენსია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 | სელტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 | მალაგა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 | ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 15 | ბეტისი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 16 | მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 17 | ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 18 | სარაგოსა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 19 | ატლეტიკო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 20 | ალბასეტე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

**II ტური**

3 სექტემბერი

ატლეტიკო — ალბასეტე
ბარსელონა — სევილია
ბეტისი — ესპანიოლი
დეპორტივო — ბილბაო
სოსიედადი — სელტა
ვალიადოლიდი — მალაგა
მალიორკა — სარაგოსა
ოსასუნა — ვალენსია
ვილიარეალი — რეალი
მურსია — რასინგი

## სეგუნდადივიზიონი

### I ტური

**კადისი 2:1 პოლი ეხიდო**
1:0 პავონი (58), 1:1 დე ნიგრისი (77), 2:1 ოლი (90)

**ალმერია 3:2 მალაგა B**
1:0 ლუნა (18), 2:0 პერესი (31), 2:1 გეიხო (33), 3:1 კერვიანი (42), 3:2 ალბერტო (61)

**რაიო ვალეკანო 0:2 ლევანტე**
0:1 აგანსო (25), 0:2 დესკარგა (33)

**ლეგანესი 0:0 სალამანკა**

**ნუმანსია 1:0 კორდობა**
1:0 სესტელო (88)

**სპორტინგი 0:2 ხეტაფე**
0:1 მიჩელი (53), 0:2 დორადო (90)

**ტენერიფე 1:0 ალავესი**
1:0 აირამი (42)

**ტერასა 1:1 ხერესი**
0:1 ხურადო (80), 1:1 მოლისტი (86)

**ეიბარი 2:1 ალხესირასი**
1:0 ბურგუენა (55), 1:1 ზაფრა (58), 2:1 ბურგუენა (86)

**სიუდადი 1:1 უელვა**
1:0 კამუნასი (29), 1:1 ტოედტლი (57)

## იტალია

### სერია A. I ტური

**უდინეზე 1:2 რომა**

0:1 დელვეკიო (13), 1:1 კროლდრუპი (26), 1:2 მონტელა (70)
უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, ალბერტო (ნომვეტე 67), პინცი, დ. პიზარო (პიერი 53), მანფრედინი (იანკერი 84), იანკულოვსკი, იორგენსენი, იაკინტა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
რომა: პელიცოლი, პანუჩი, ძებინა, სამუელი, კანდელა, მანჩინი, ემერსონი, დაკური, ლიმა (მონტელა 59), კასანო (აგოსტინო 83), დელვეკიო (დე როსი 66)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: პინცი, დაკური, ლიმა, სამუელი, დე როსი, დაკური
გაძევება: ბერტოტო (50), დაკური (62)
მსაჯი: ტრეფოლონი

**ბოლონია 2:2 პარმა**

1:0 გული (8), 1:1 ადრიანო (20), 2:1 ლოკატელი (78), 2:2 ადრიანო (87)
ბოლონია: პალიუკა, ძაკარდო, ნატალი, ჟუარესი, მორეტი (ტროისე 64), გული, დალა ბონა, კოლუჩი, ბელუჩი (პეკია 69), როსინი, სინიორი (ლოკატელი 77)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
პარმა: ფრეი, ბონერა, ფერარი, კასტელინი, სერიჩი, ბარონე, ბლაზი, ნაკატა (მარკიონი 80), მორფეო (ჯილარდინო 75), ბრეშიანო (ე. ფილიპინი 64), ადრიანო
მწვრთნელი: კლაუდიო პრანდელი
გაფრთხილება: ჟუარესი, მორფეო, სერიჩი
მსაჯი: ბოლონინო

**რეჯინა 2:2 სამპდორია**

1:0 კოცა (5), 2:0 დი მიკელე (41), 2:1 ბაძანი (64), 2:2 დიანა (73)
რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, სოტილი, ფრანჩესკინი, ბაიოკო (მარტინესი 72), პარედესი, მოცარტი, ფალსინი, კოცა, დალაკუა (სტელონე 72), დი მიკელე (ნაკამურა 82)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
სამპდორია: ანტონიოლი, დიანა, ფალკონე, გრანდონი, დომიცი, მ. დონატი, პალომბო, ვოლპი, დონი (იანაგისავა 57), მარაცინა (ფლაკი 52), ბაძანი (ბ. ჟივკოვიჩი 90)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კოცა, ფალკონე, დომიცი, დონი
მსაჯი: დე სანტისი

**ინტერი 2:0 მოდენა**

1:0 ვიერი (86), 2:0 მატერაცი (90)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ფ. კანავარო, მატერაცი, კორდობა, ლუსიანო (კილი გონსალესი 65), კ. ძანეტი (ლამუში 65), ემრე (ჰელვეგი 78), ვან დერ მეიდე, მარტინსი, ვიერი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მოდენა: ბალოტა, მაიერი, კევოლი, უნგარი, კამპედელი, მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, ალეგრეტი (კორენტი 65), დ. კამარა, ტალდო (ვინიაროლი 77)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
გაფრთხილება: ემრე, მარასკო, ბალოტა, უნგარი
მსაჯი: ფარინა

**იუვენტუსი 5:1 ემპოლი**

1:0, 2:0 დელ პიერო (16, 51), 3:0, 4:0 ტრეზეგე (61, 74), 5:0 დი ვაიო (85), 5:1 დი ნატალე (88)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, მონტერო, ძამბროტა, ტაკინარდი, აპია, მიკოლი (კამორანეზი 46), ნედვედი (მარესკა 81), დელ პიერო (დი ვაიო 68), ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ემპოლი: ბუჩი, ბელერი, კრიბარი, ლუკინი, კაპი (აგოსტინი 73), ჯამპიერეტი, გრელა, ბუშე, ტავანო (ფიკინი 65), დი ნატალე, როკი
მწვრთნელი: დანიელე ბალდინი
მსაჯი: პელეგრინი

**ლაციო 4:1 ლეჩე**

1:0 ალბერტინი (20), 2:0 კორადი (25), 3:0 ფიორე (36), 3:1 კონანი (50), 4:1 ოდო (84)
ლაციო: პერუცი, ოდო, ფერნანდო კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე, ალბერტინი (დაბო 66), დ. სტანკოვიჩი, სეზარი (სერჟიუ კონსეისაუ 59), კორადი (ს. ინძაგი 85), ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლეჩე: ამელია, სტოვინი, სილვესტრი, აბრუცეზე, სივილია (კასეტი 66), ჯაკომაცი, ლედესმა, ტონეტო, რულო (ბუდელი 46), ჩევანტონი, ვუჩინიჩი (კონანი 46)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, ჯაკომაცი
მსაჯი: ბერტინი

**პერუჯა 2:2 სიენა**

1:0 ვრიზასი (10), 1:1 არდიტო (19), 2:1 ბოტროიდი (27), 2:2 ტადეი (48)
პერუჯა: კალაჩი, დიამუტენე, დი ლორეტო, ალიუ, ზე მარია, ტედესკო, ობოდო (გატი 71), ფუზანი, ლუმპუტისი (დო პრადო 57), ვრიზასი (მარჯოტა 83), ბოტროიდი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
სიენა: როსი, ფოლიო (ტადეი 46), დელი კარი, მინანი, კუფრე, ლაზეტიჩი (არჯილი 57), დავერსა, არდიტო, გიგუ, კიეზა (ვენტოლა 75), ფლო
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: დო პრადო, ლაზეტიჩი, ფოლიო
მსაჯი: როდომონტი

**ანკონა — მილანი**

*ნუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# მოულოდნელი მხოლოდ ნაწლავი იყო



REUTERS რომიდან

ლაციო — ლეჩე. სინიშა მიხაილოვიჩმა თავბურთშიც იმარჯვა

**ეს სიტყვები** მარჩელო ლიპიმ „ემპოლის" 5:1 დანგრევის შემდეგ თქვა:

„ჩვენი გუნდი სრულყოფილად არ გახლდათ დაბალანსებული, მაგრამ ამ შეხვედრაში ზოგი რამ დადებითი მაინც შევამჩნიე. დავიდ ტრეზეგე დამღლელი, სეზონისწინა რეჟიმის შემდეგ ფორმას აუმჯობესებს. როდესაც ედგარ დავიდსიც კარგად ათამაშდება, ტრეზეგე ძველებურად დაიწყებს გოლების შეყრას. ერთი სიტყვით, მისი კარგი თამაში, ისევე როგორც ჯანლუკა პესოტოსი, მარსელო ზალაიეტასი და მარკ იულიანოსი, ჯერ კიდევ წინ არის".

მაგრამ ალესანდრო დელ პიეროს კარგი თამაში უკვე ფაქტია, დავიდსის ნაცვლად კი მთელი ზაფხულის განმავლობაში დიდად ნაქები სტეფან აპია გაისარჯა. აღსანიშნავია, რომ მიკოლიმ პირველ ნახევარში მაურო კამორანეზის, ანუ მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქცია შეასრულა, შემდეგ კი სასწრაფოდ საოპერაციო შეიქნა — ბრმა ნაწლავმა მწვავედ შეუტია. ოპერაციამ ტურინის ერთ-ერთ კლინიკაში ნახევარ საათს გასტანა. მიკოლი პალატაში სამ დღეს დარჩება, ხოლო დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ვარჯიშს განაახლებს.

„დელე ალპიზე" გამართული შეხვედრის მომენტ-მომენტ აღწერას დიდი აზრი არ უნდა ჰქონდეს. ვგონებთ, ამაზე საინტერესო სტუმართა მწვრთნელის, დანიელე ბალდინის კომენტარი უნდა იყოს:

„იუვესთან" ბრძოლა ჩვენს ძალებს აშკარად აღემატება, მაგრამ ისიც ფაქტი უნდა იყოს, რომ მეტი ბრძოლა და შეუპოვრობა გვმართებდა".

დიდი ანგარიშით და „იუვენტუსისა" არ იყოს, შინ, მოიგო „ლაციომაც". მისი მეტოქე „ლეჩე" გახლდათ. რობერტო მანჩინის შეგირდებმა მოსაწონი ფეხბურთი ითამაშეს, თუმცა მეორე ტაიმში გაზს ფეხი აუშვეს.

მანჩინი: „ნამდვილად გამორჩეულნი ვიყავით. ბიჭებმა მხოლოდ პირველ ტაიმში შექმნეს ექვსი თუ შვიდი საგოლე მომენტი. მართალია, შესვენების შემდეგ თამაშს სიმწვავე დავაკელით, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი მატჩიდან რამდენიმე დღეში ეს მოსალოდნელი იყო. სანერვიულო არაფერია, დაზუსტებით ვიცი, რომ მომავალ შეხვედრებში განსხვავებულ მეორე ტაიმებს ჩავატარებთ".

მოკრძალებულად, 2:0 გაიმარჯვა „ინტერმა," რომელმაც „მოდენასთან" შეხვედრაში განსაკუთრებული ვერც ფეხბურთი აჩვენა. მართალია, „შავ-ლურჯების" თავკაცი, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი კლუბის პრეზიდენტის, მასიმო მორატის ხანაში თავის კოლეგებთან შედარებით დიდხანს შემორჩა თანამდებობას, მაგრამ თუ სეზონი ტრიუმფით ანუ სკუდეტოს მოპოვებით არ ჩაასრულა. გადადგომა ელის. ის კი არა, თუ გუნდმა პირველ ტურში ნაჩვენები ფეხბურთი არ გააუმჯობესა, შესაძლოა არგენტინელს ახლავე შეუდგეს წყალი.

„მოდენასთან" შეხვედრაში კუპერმა 25 წუთით ათამაშა თავისი, ჯერ კიდევ „ვალენსიას" დროინდელი ფეხბურთელი კილი გონსალესი, მაგრამ გოლი „ძველმა კადრმა", ამ საქმეში გამოცდილმა ვარსკვლავმა, კრისტიან ვიერიმ შეაგდო. ეს 86-ე წუთზე მოხდა, როდესაც ემრეს ნაცვლად შეცვლაზე შესულმა თომას ჰელვეგმა გონივრული პასით [illegible] მეტრში [illegible] ტოვა გოლკიპერი, [illegible] რკო მატერაციმ [illegible] 25 მეტრიდან ჯარიმა დააქუხა.

კუპერი: „შესვენებამდე ჩვენი ნახევარდაცვა შედარებით სუსტად ირჯებოდა, თუმცა ამის მიზეზი, ნაწილობრივ, შეიძლება „მოდენას" ფეხბურთელთა აქტიურობა გახლდათ. შესვენებაზე, რამდენიმე დეტალი შევცვალე. მათ შორის გარემარბთა დაცვისკენ დაწევაც გახლდათ და ამან კარგად იმოქმედა".

და გაიმარჯვა „რომამაც". „უდინეზემ" შინ ვერ გაუძლო ფაბიო კაპელოს დაქოქილ მანქანას, არადა, შეგახსენებთ, რომ „უდინეზეს" „სტადიო ფრიულიზე" ძლევა გასულ სეზონში მხოლოდ „იუვენტუსმა" შეძლო.

აღსანიშნავია, რომ „რომას" არ ჰყავდა ფრანჩესკო ტოტი, ხოლო ახალშენაძენის, კრისტიან კივუს ამბავი ჯერ კიდევ ამსტერდამსა და რომს შორის, საბანკო ქაღალდებშია გახლართული.

„კარგად ორგანიზებულ გუნდთან ძლიერად ვითამაშეთ. „რომასგან" აქ სწორედ ძალიან ძლიერ თამაშს და სამი ქულის წამოღებას ვითხოვდი. ძალიან გააუმჯობესა თამაში ანტონიო კასანომ. მას დღესაც მიარტყეს ფეხში ერთი-ორი, მაგრამ არ დაუჩივლია. დღევანდელი გამარჯვების საიდუმლო თავმოყვარეობის ხელახლა პოვნა გახლავთ" — თქვა თამაშის შემდეგ ფაბიო კაპელომ.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ემპოლი. დავიდ ტრეზეგემ „ემპოლის" კარი ორჯერ აიოხრა

| საბოლოო ცხრილი | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 5 ბოლონია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 პარმა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 პერუჯა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 სიენა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 რეჯინა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 სამპდორია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 11 ბრეშა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 კიევო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 მილანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 ანკონა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 15 უდინეზე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 მოდენა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 17 ლეჩე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 18 ემპოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 2 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 2 |
| ადრიანო (პარმა) | 2 |

**II ტური**

14 სექტემბერი

კიევო — იუვენტუსი
ემპოლი — რეჯინა
ლეჩე — ანკონა
მილანი — ბოლონია
მოდენა — უდინეზე
პარმა — პერუჯა
რომა — ბრეშა
სამპდორია — ლაციო
სიენა — ინტერი

### სერია C1/A

პირველი ტური: არეცო — ჩიტადელა 1:0; პადოვა — რეჯანა 2:0; პისტოიეზე — პიზა 3:2; პრო პატრია — ჩეზენა 0:0; რიმინი — ვარეზე 1:1; ტორესი — პრატო 0:0; სპალ — ნოვარა 0:0; სპეცია — ლუმეცანე 0:0. პავია — ლუკეზე *ნუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე)*

### სერია C1/B

პირველი ტური: სამბენედეტეზე — აჩირეალე 1:2; კატანძარო — პეზარო 2:1; ფერმანა — პატერნო 2:1; ფოჯა — კიეტი 1:1; აკილა — კროტონე 0:2; სორა — ბენევენტო 0:1; ტარანტო — ტერამო 1:2; ვიტერბეზე — ლანჩიანო 2:0. *ჯულიანოვა — მარტინა გადაიდო*




სოშო — ლილი. კრისტოფერ ლანდრინმა (მარჯვნივ) და გრეგორი პუისლომ ერთმანეთს უთავაზეს

# მორიენტესი ტახტიდან ტახტზე

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. V ტური

**მონაკო 1:0 მეცი**
1:0 ს. სკილაჩი (38)

**ლანსი 1:0 ნიცა**
1:0 ბაკარი (73)

**აიაჩო 0:1 მარსელი**
0:1 მერიემი (64)

**გენგამი 2:0 ლიონი**
1:0 დაგანო (31), 2:0 ფუენტესი (39)

**ნანტი 0:0 ბორდო**

**ოსერი 2:1 რენი**
1:0 სისე (25), 1:1 ნგუემა (57), 2:1 კალუ (66)

**ლე მანი 0:3 სტრასბური**
0:1, 0:2 ნიანგი (33, 56), 0:3 ლიუბოჟა (86)

**მონპელიე 3:2 პსჟ**
0:1 რეინალდო (17), 1:1, 2:1 ბამოგო (57, 66), 2:2 რეინალდო (73), 3:2 რუი პატაკა (87)

**სოშო 2:1 ლილი**
0:1 ბრუნელი (6), 1:1 სანტოსი (9), 2:1 აბიდალი (21ს.კ.)

**ტულუზი 0:2 ბასტია**
0:1 მორისი (35), 0:2 ბენ საადა (39)

**მეხუთე ტურის** შემდეგ დაუმარცხებელი აღარავინ დარჩა. სხვა მხრივ კი აღსანიშნავია ორი გასაცოდავებული ახლაბედა, რომლებიც მოუგებლად დაილექნენ. „ლე მანი" და „ტულუზა" იმ ლიგის საზღვარზე ბინადრობენ, საიდანაც გაზაფხულზე გადმოვიდნენ.

მათგან ხელის გაწვდენაზე პსჟ დაერჭო. ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა ლუის ფერნანდესის შედეგი კი არ გააუმჯობესა, გააუარესა და პარიზელთა ქომაგებს ის მეათე ადგილი ენატრებათ, შარშან რომ მიაღწიეს. პსჟ-მ „ბარსელონადან" არგენტინელი ხუან პაბლო სორინი ერთწლიანი იჯარით აიყვანა და ალბათ მომავალ ტურში ათამაშეს.

მონპელიეში ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა, მაგრამ ბამოგომ მეორე ნახევარში ჯერ გაათანაბრა, მერე კი თავისები დააწინაურა. რეინალდომ გაქვითვა შეძლო, მაგრამ ორი ფორვარდის დუელში შეცვლაზე შესული პატაკა ჩაერია, რომელმაც „მონპელიეს" სასწორზე მესამე გოლი „დააგდო".

„გენგამს", ოთხ ტურში ერთხელაც რომ ვერ მოეგო, მადა „ლიონთან" გაეხსნა. ჩემპიონებს ჯოვანი ელბერის შემატებამაც ვერ უშველათ. ბრაზილიელმა თავის წილად ერთი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ვერ გამოიყენა. „ლიონის" ფეხბურთელებმა მატჩის მსვლელობისას მეტოქის კარში გაცილებით მეტჯერ დაარტყეს კიდეც. ძელსაც მისწვდნენ, „გენგამის" მწირი შეტევებიდან კი ორი შედეგიანად დასრულდა.

შესვენებამდე ექვს წუთში ამ შეხვედრის ბედი გადაწყდა. ჯერ ბურკინაფასოელმა მუმუნი დაგანომ შეაგდო, მერე — ფაბრიციო ფუენტესმა და სასურველი შედეგის შენარჩუნება მასპინძლებმა დაცვაში ოფლის ღვრით მოახერხეს.

მონაკოში სტადიონზე ფერნანდო მორიენტესი იჯდა. სამეფო კლუბიდან სამეფო კლუბში გადასულ „ელ მოროს" მომავალ ტურში მოედანზეც იხილავენ.

„მონაკოს" მთავარმეგოლე შაბანი ნონდა ჯერჯერობით განუსაზღვრელი დროით გამოაკლდა. „მეცთან" მატჩში კი მეორე ფორვარდი დადო პრსოც არ ჰყავდა. მორიენტესის შეძენა ნონდას ტრავმამ განაპირობა და „ელ მორომ", რომელსაც ძალიან არ ეწადა „რეალიდან" წასვლა,. მაინც გვირგვინოსანი კლუბი არჩია.

მეგოლეების არყოფნაში მათი ხელობა მცველმა, სებასტიან სკილაჩიმ შეითავსა და მისი წყალობით „მონაკო" ცხრილის სათავეში მოექცა.

„ფულემიდან" „მარსელში" გადაბრძანებული სტივ მარლე პირველივე შეხვედრაში გამოჩნდა და საკმაოდ რიგიანადაც გაისარჯა. შინ სუსტად მოთამაშე „აიაჩომ" მეტოქეს პირველ ტაიმში შეებრძოლა, მეორეში „მარსელი" გაბატონდა, თუმც მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდა, რომელიც კამელ მერიემის ანგარიშზეა.

ოსერში წვეულ „რენს" მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში მცველი, სედრიკ ბარბოსა გაუძევეს და მასპინძლებმა უმრავლესობით უმალ ისარგებლეს — ჯიბრილ სისემ „ოსერი" დააწინაურა. მეორე ტაიმში შტეფან ნგუემას წყალობით „რენმა" სხვაობა გააბათილა, მაგრამ გი რუ ბუნავენტურე კალუმ გაახარა, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა.

ნანტში დამხვდურებმა „ბორდო" თამაშით დაჩაგრეს, მაგრამ ულრიხ რამეს კარში ბურთი ვერ შეაგდეს. ბოლო ორ ტურში თითქოს მოკეთებული ჟირონდელები იმდენად უსუსურად გამოიყურებოდნენ, რომ ერთი სამაღლო კუთხურიც კი ვერ მოიპოვეს.

ქუთაისიდან შინ დაბრუნებულ „ლანსს" „ნიცასთან" ერთი საათის განმავლობაში გაუჭირდა. მერე შეცვლაზე დაგუ ბაკარი შევიდა და გამარჯვების გოლი მიითვალა. საპასუხო ნიცელებმაც გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა მანამდე ხელით თამაში აღნიშნა და გააუქმა.

„სოშომ" „ლილის" ზეიმი დაასრულა, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები ფილიპ ბრუნელის ზუსტი დარტყმით დაწინაურდნენ, სანტოსმა მყისვე გაქვითა. ტაიმის შუაწელში აბიდელმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და „სოშომ" სამი ქულა მიითვალა.

„სტრასბურში" მამადუ ნიანგმა გაილაღა. ჯერ პირველ ტაიმში გაიტანა, შესვენების შემდეგ მეორეც მიითვალა, „ლე მანი" კი საბოლოოდ დანიელ ლუბოიამ მოაშთო.

„ბასტიას" მოგებას ტულუზში საფუძველი უბერებელმა ფლორიან მორისმა ჩაუყარა, მასპინძელთა მეორედ დამწუხრება ბენ საადამ აცისრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 5 | 4 | 0 | 1 | 10:5 | 12 |
| მარსელი | 5 | 4 | 0 | 1 | 6:2 | 12 |
| ლილი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ნანტი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ლანსი | 5 | 3 | 1 | 1 | 4:3 | 10 |
| ნიცა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| სტრასბური | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| ბორდო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| მონპელიე | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| სოშო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| აიაჩო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ბასტია | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | 7 |
| რენი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| ოსერი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:8 | 6 |
| მეცი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 4 |
| პსჟ | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| გენგამი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| ლე მანი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:6 | 2 |
| ტულუზი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 2 |

### II დივიზიონი

მე-6 ტური: ბეზანსონი — შატორუ 3:1; ამიენი — ლე ავრი 2:0; კაენი — ანჟე 1:0; კლერმონი — ლავალი 2:1; კრეტეი — ლორიანი 1:0; გრენობლი — გენიონი 2:2; რუანი — ნიორი 2:1; ტრუა — ისტრი 0:2; ვალანსი — ნანსი 0:0; სედანი — სენტ ეტიენი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:1 | 14 |
| ამიენი | 6 | 4 | 2 | 0 | 6:1 | 14 |
| ნიორი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| რუანი | 6 | 2 | 4 | 0 | 6:3 | 10 |
| კლერმონი | 6 | 2 | 3 | 1 | 4:3 | 9 |
| ტრუა | 6 | 2 | 3 | 1 | 8:8 | 9 |
| სენტ ეტიენი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | 9 |
| ლორიანი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| ბეზანსონი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| ლე ავრი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| კრეტეი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:7 | 8 |
| გენიონი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:6 | 7 |
| ვალანსი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:5 | 7 |
| ნანსი | 6 | 1 | 3 | 2 | 2:3 | 6 |
| გრენობლი | 6 | 0 | 5 | 1 | 4:5 | 5 |
| კაენი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| ლავალი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| სედანი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| შატორუ | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| ანჟე | 6 | 1 | 1 | 4 | 3:8 | 4 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXIII ტური

**ცსკა 1:1 სატურნი**
0:1 პრინს ამოაკო (35), 1:1 გუსევი (79)

**ლოკომოტივი 2:1 კრილია**
0:1 ტიხონოვი (53), 1:1 აშვეთია (79), 2:1 ლოსკოვი (84)

**შინიკი 1:2 სპარტაკი**
0:1 ტიტოვი (7), 0:2 პავლიუჩენკო (13პ), 1:2 კარპენკო (60)

**სპარტაკ-ალანია 1:0 ჩერნომორეცი**
1:0 დადუ (61)

**ურალანი 0:1 როტორი**
0:1 ტრიფონოვი (45)

**ზენიტი 0:0 დინამო**

**ტ. მეტალურგი 0:3 როსტოვი**
0:1 კორიტკო (37ს.კ.), 0:2 ოსინოვი (53პ), 0:3 აკოპიანცი (81)

**ტორპედო 4:2 რუბინი**
0:1 კალისტო (11), 1:1 სემშოვი (42), 2:1 ლეონჩენკო (61პ), 3:1 კორმილცევი (64), 4:1 შირკო (72), 4:2 სილა (90)

# ანჯელინა, ალანიელთა დედოფალი

**„სატურნის"** ამჟამინდელ თავკაც ვიტალი შევჩენკოს გუნდებს კარიერაში არასოდეს მოუგიათ იმ მეტოქისთვის, რომელსაც ვალერი გაზაევი წვრთნიდა. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. ცსკა-ს მდევარმა „სატურნმა" ლიდერთან ქულათა სხვაობის შემცირება ვერ შეძლო, თუმც სტუმრები გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ.

რუსული მედიისგან გაზაევის კრიტიკამ და ერთი ხანობა სემაკის არყოფნამ, სრულიად გუნდზე უარყოფითად იმოქმედა. შედეგად ცსკა-მ ჩემპიონატის დაღმართზე უკლო და არმიას ნერვიულობა დაეტყო.

მატჩის ოცდამეერთე წუთზე მოედანზე მყოფი 22 გაავებული ფეხბურთელი ერთად შექუჩდა. მიზეზი ის იყო, რომ უკვე ბურთმოხელთებულ მასპინძელ მეკარეს, აკინფეევს, სტუმარი პავლოვიჩი სიფათზე ქაცვებით მიეფერა. მოსკოველები „სატურნის" არგენტინელ ლეგიონერს მისცვივდნენ, მათ კი — მეტოქე გუნდის ფეხბურთელები. ბიჭები სათადარიგოთა სკამიდანაც აიყარნენ და ატყდა რია-რია. მსაჯს, ნიკოლაი ივანოვს, გვერდითები მიეშველნენ და ბრბო ძლივს გააცალკევეს. არეულობის გამო ივანოვის ჯიბიდან ორი წითელი ბარათი ამოხტა. ერთი არმიელ შემბერასს ერგო, მეორე — პავლოვიჩს.

ამ მომენტიდან ხუთ წუთში მასპინძლებს კიდევ ერთი კაცი გამოაკლდათ. რახიმიჩს მანამდე ყვითელი ბარათის უკვე მიეღო და ზედიზედ მეორედ უხეშობისთვის მსაჯმა გააძევა. კაცნაკლულმა ცსკა-მ დალაგება ვერ მოასწრო, რომ „სატურნის" განელმა ლეგიონერმა პრინს ამოაკომ ბურთი დაამუშავა და აკინფეევს გაუტანა.

სტუმრებმა ერთბურთიანი უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე ვერ მიიტანეს და ვერც კაცმეტობით ისარგებლეს. როლან გუსევმა დაახლოებით 25 მეტრიდან, საპასუხო შეაგდო და ქულა გადაარჩინა.

ცხრილის თავისკენ დიდი ნაბიჯებით „ლოკომოტივი" მიიწევს. ჩემპიონატის მიწურულს იმტაზე მოსულ მიხეილ აშვეთიას გოლებით დროულად შეკაზმულ რკინიგზელებს პირველი ადგილისთვის თუ არა, მეორე საფეხურის დასაპყრობად ძალა ნამდვილად შესწევთ.

იური სიომინმა „კრილია სოვეტოვის" ძლევა ლოსკოვისა და მამინოვის გარეშე სცადა ძირითად შემადგენლობაში ახალბედა ვაგნერი და ლეანდრო გამოჩნდნენ.



ზენიტი — დინამო. ვიტალი გრიშინს მაგრად მოხვდა

„კორინთიანსის" ყოფილ მოთამაშეებს მოედანზე „ლოკომოტივისთვის" განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ. მხოლოდ ერთი მცდელობა იყო. ნაცვლად იმისა, რომ კარგი მომენტი უბრალო დარტყმით დაესრულებინა, ლეანდრომ მოხტუნავე ბურთზე ქუსლით დარტყმა სცადა და არ გამოუვიდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა გოლი გაუშვეს და სიომინმაც „კორინთიანსი" შეცვალა, თამაშში ერთბაშად მამინოვი, პიმენოვი და ლოსკოვი ჩართო. მან გუნდის თამაში კალაპოტში მოაქცია და „ლოკომოტივის" აფეთქებას მეორე ტაიმში ორი გოლი მოჰყვა. ლოსკოვმა კუთხურიდან ჯერ აშვეთიას დაასვა ბურთი საგოლედ თავზე, დაახლოებით ისე, როგორც დონეცკის „შახტართან", ხუთიოდ წუთში კი თვითონ გამარჯვებისა გაიტანა.

სანკტ პეტერბურგს შურისძიების წყურვილი ჰკლავდა. პირველ წრეში „ზენიტი" მოსკოვში 7:1 გაანადგურეს. სრულიად ნევისპირეთს „დინამოს" ჯავრი სჭირდა, მაგრამ მასპინძლები მეტოქეს ოდენ ქულის გაყოფაზე შეუთანხმდნენ.

სტუმართა დასამარცხებლად, თან დიდი ანგარიშით, „ზენიტს" დახმარება მსაჯმაც შესთავაზა. არბიტრმა მეთერთმეტე წუთზე დინამოელი მენდი ორ ყვითელ ბარათში „დაახურდავა" და მოედნიდან მიაბრძანა. ოთხმოცი წუთის მანძილზე კაცმეტი „ზენიტი" დაუკაკუნებლად შედი-გადიოდა დედაქალაქელთა საჯარიმოში, თუმც აურაცხელი საგოლე მომენტიდან ერთიც ვერ გამოიყენა.

ვლადიკავკიზში, გარდა იმისა, რომ „სპარტაკ-ალანიამ" მეექვსე მატჩი მოიგო და ცხრილის ფსკერიდან დაიძრა, ორი საინტერესო ამბავი მოხდა.

ჰოლივუდელი სქელტუჩა ანჯელინა ჯოლი რუსეთს ესტუმრა ლტოლვილთა პრობლემების შესასწავლად და მათ დასახმარებლად. ლამაზმანმა მსახიობმა ვლადიკავკაზშიც შეიარა, სადაც „სპარტაკ-ალანიას" გუნდურ პლაკატს გადააწყდა. „ეს წითელ-ყვითელი გუნდი ამ ქალაქში ბინადრობს?" — იკითხა ანჯელინამ. მხლებლებს გაუკვირდათ, საიდან უნდა იცნობდესო. 1995 წელს, უეფას თასის ოცდამეთორმეტედ ფინალში, „სპარტაკ-ალანია" „ლივერპულს" შეხვდა. სქელტუჩა მაშინ ინგლისში ყოფილა და მეგობრებს „ენფილდზე" წაუყვანიათ. სწორედ იქიდან დაამახსოვრდა ვლადიკავკაზური გუნდი და ფერები.

მეორე ამბავი ისაა, რომ ვიქტორ ონოპკომ „სპარტაკ-ალანიასთან" კონტრაქტი გააფორმა და ამიერიდან თერგისპირას დაბინავდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 24 | 14 | 6 | 4 | 46:26 | 48 |
| სატურნი | 23 | 11 | 8 | 4 | 31:20 | 41 |
| დინამო | 23 | 11 | 7 | 5 | 37:23 | 40 |
| რუბინი | 23 | 11 | 7 | 5 | 33:21 | 40 |
| ლოკომოტივი | 24 | 11 | 6 | 7 | 37:30 | 39 |
| ზენიტი | 23 | 11 | 6 | 6 | 33:27 | 39 |
| შინიკი | 23 | 9 | 10 | 4 | 32:21 | 37 |
| კრილია | 23 | 8 | 9 | 6 | 29:23 | 33 |
| ტორპედო | 23 | 8 | 8 | 7 | 32:29 | 32 |
| როსტოვი | 23 | 7 | 8 | 8 | 25:31 | 29 |
| სპარტაკი | 23 | 8 | 4 | 11 | 33:40 | 28 |
| როტორი | 23 | 6 | 4 | 13 | 25:33 | 22 |
| ჩერნომორეცი | 23 | 5 | 6 | 12 | 22:32 | 21 |
| ურალანი | 23 | 4 | 8 | 11 | 16:34 | 20 |
| ალანია | 23 | 6 | 2 | 15 | 15:37 | 20 |
| ტ. მეტალურგი | 23 | 3 | 5 | 15 | 14:33 | 14 |

# ბრიტანული თიკუნი: მოცეკვავე ქართველი

**შოტლანდია**

**პრემიერლიგა. IV ტური**

**დანდი იუნაიტედი 1:3 რეინჯერსი**

0:1 კაპუშუ (14), 1:1 დოდსი (82), 1:2 არველაძე (85), 1:3 არტეტა (89პ)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, მალკოლმი, ხიზანიშვილი, ვანოლი, დე ბური (ტომპსონი 51), კაპუშუ (ემერსონი 63), არტეტა, ნერლინგერი, მოლსი, არველაძე

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

**ჰარტსი 1:0 დანფერმლაინი**

1:0 ვაინესი (62)

**კილმარნოკი 1:1 დანდი**

0:1 ნოვო (54), 1:1 ბოიდი (79)

დანდი: სპერონი, სმიტი, უილკი, სანჩო, კოვანი, ნოვო (ლოველი 77), რაე, ნემსაძე, მაირი (პათჩისონი 29), კაბალიერო (სარა 72), ბრეიდი

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

გაფრთხილება: უილკი, ჰეი, შილდსი, ჯაკომო, ნემსაძე

**სელტიკი 5:1 ლივინგსტონი**

1:0 ლარსონი (25), 2:0 მალონი (39), 3:0, 4:0 ლარსონი (56, 77), 4:1 ლილი (85), 5:1 ტომპსონი (90)

**ჰიბერნიანი 1:1 აბერდინი**

0:1 ანდერსონი (6), 1:1 ბრაუნი (69)

**მოზერუელი 2:2 პარტიკი**

1:0 მაკფადენი (9), 1:1 ბრიტონი (26), 2:1 მაკფადენი (69), 2:2 ტეილორი (82)

ბოლო წუთებზე გადამწყვეტი გოლების გატანას დაეჩვია შოთა არველაძე — ასე იყო კოპენჰაგენში და ასე მოხდა დანდიშიც.

„რეინჯერსში" აღარაა ბარი ფერგიუსონი — შოტლანდიის ნაკრების ეს ნახევარმცველი კარიერას „ბლექბერნში" გააგრძელებს — ინგლისელებმა მასში 7,5 მილიონი გირვანქა ჩაუთვალეს გლაზგოელებს. თუმც ზურაბ ხიზანიშვილმა მაინც დაცვაში ითამაშა, რადგან კრეიგ მური და მორის როსი მაკლიშმა ძირითადში არ დააყენა, ჰენინგ ბერგი კი განაცხადში საერთოდ არ ყოფილა.

„დანდი იუნაიტედს" პირველი გოლი პორტუგალიელმა ნუნუ კაპუშუმ გაუტანა — რონალდ დე ბურის და მიხეილ მოლსის ძალისხმევის შედეგად მან ცარიელ კარში ისე შეაგორა ბურთი, რომ ხელი არავის შეუშლია.

გამთანაბრებელი გოლი „რეინჯერსის" კარში ყოფილმა რეინჯერსელმა, ბილი დოდსმა შეაგდო — ის შეცვლაზე შევიდა და ბურთთან მისი პირველივე შეხება შედეგიანი აღმოჩნდა — დოდსმა თავურით გაიტანა.

„დანდი იუნაიტედი" გამარჯვების იმტაზეც კი მოვიდა და შეტევა გააშმაგა, მაგრამ არველაძემ იდეალური პასუხი გასცა მასპინძლებს. შოთამ სტივ ტომპსონის პასი მკერდზე მიიღო და მიწაზე დაუშვებლად, შემობრუნებით ექვსიოდე მეტრიდან ლამაზად შეაგდო.

„მოცეკვავე ქართველის" (ასე მოიხსენიებენ ბრიტანული წყაროები არველაძეს კოპენჰაგენური ამბების შემდეგ) გოლმა „დანდი იუნაიტედი" გატეხა და „რეინჯერსმა" ერთიც გაიტანა — მოლსის მონადირებული 11-მეტრიანი მიკელ არტეტამ გამოიყენა.

გიორგი ნემსაძის „დანდის" უშედავათო ბრძოლა გადახდა „კილმარნოკთან" — ფაბიან კაბალიერომ და ნაჩო ნავომ გვარიანად გააწვალეს „კილმარნოკი", კარგად გამოიყურებოდა გიორგი ნემსაძეც. მაგრამ ჯაბანი არც „კილმარნოკი" გამოდგა. მასპინძლებმა ბოლო წუთებზე სულაც „დანდის" კარის ხარიხას შეაზანზარეს, მაგრამ თითო-თითო ქულით ორივე გუნდი კმაყოფილი დარჩა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 4 | 4 | 0 | 0 | 15:5 | 12 |
| სელტიკი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:2 | 10 |
| ჰარტსი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 |
| დანდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| დანფერმლაინი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ჰიბერნიანი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | 7 |
| მოზერუელი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ლივინგსტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| კილმარნოკი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| პარტიკ თისლი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | 2 |
| აბერდინი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| დანდი იუნ. | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

**პირველი დივიზიონი**

მე-4 ტური: ეარი — ქუინ ოფ საუთ 1:4; რეით როვერსი — ფოლკირკი 0:1; როს ქაუნთი — ინვერნესი 1:1; სტ. ჯონსტონი — ბრეჩინი 3:1; სტ. მირენი — კლაიდი 2:1

**მეორე დივიზიონი**

მე-4 ტური: ერდრი — დამბარტონი 2:0; არბოთი — ჰამილტონი 2:2; ბერიკი — ალოა 3:2; მორტონი — ისტ ფაიფი 2:1; სტენჰაუზმური — ფორფარი 2:0

**მესამე დივიზიონი**

მე-4 ტური: ისტ სტირლინგი — ქოუდენბითი 1:1; გრეტნა — ალბიონი 3:1; მონტროუზი — ელგინი 3:3; პიტერჰედი — სტრენრარი 1:2; ქუინზ პარკი — სტირლინგი 0:2




რეინჯერსელთა პირველი გოლი ნუნუ კაპუშუმ გაიტანა



კლოდ მაკელელე „ჩელსიმ" ოთხი წლით შეიფარა

# ჩელსის ბოლდი

**კლოდ მაკელელემ** კვირა საღამოს მადრიდის „რეალიდან" „ჩელსიში" გადასვლის საქმე მოათავა. ლონდონური კლუბის ვებ-გვერდზე სატრანსფერო თანხის შესახებ არაფერი წერია, ის კი ცნობილია, რომ 30 წლის ფრანგი ინგლისის დედაქალაქს ოთხი წლით ესტუმრა. თანხა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, პარასკევის ცნობების თანახმად 24 მილიონი ევრო უნდა ყოფილიყო. მაგრამ მას მერე, რაც ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, რომ ამ ფულის 15 პროცენტი მადრიდელებს მაკელელესთვის უნდა დაეთმოთ, ეჭვი გაჩნდა. შემდეგ, „რეალის" დირექტორმა ხორხე ვალდანომ აგენტის სიტყვებს ხაზი გადაუსვა და გადმოუსვა, მაგრამ სატრანსფერო თანხა აღარ დაზუსტებულა.

მაკელელეს ყიდვის მეორე დღეს, ინტერნეტში გავრცელდა „ჩელსის" აღმასრულებელი შეფის, ტრევორ ბირჩის სიტყვები:

„მორჩა და გათავდა, ყიდვა დავასრულეთ".

მადრიდამდე, კინშასაში დაბადებული მაკელელე, ვიგოს „სელტაში" თამაშობდა. მაშინ „რეალმა" იგი 13,7 მილიონ დოლარად იყიდა. „სელტამდე" კი ფრანგის ცხოვრებაში იყო „ნანტი" და „მარსელი", ხოლო საფრანგეთის ეროვნული გუნდი მის კარიერას ლაიტმოტივად გასდევს — ლურჯი ფორმით მაკელელეს 24 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

„ჩელსიში" მაკელელე ოთხი ნომრით ითამაშებს.

**ბაპუნა ძიდია**

# სამეფოდან სამთავრომდე
## მორიენტესი დეშანმა ითხოვა

**მადრიდის „რეალი"** ფერნანდო მორიენტესს გამოემშვიდობა, ყოველ შემთხვევაში, ამ სეზონში მაინც. კვირას „ელ მორომ" ფრანგულ „მონაკოსთან" გააფორმა ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება და იქაურ გულშემატკივრებსაც უკვე გაეცნო — „ლუი II"-ს სტადიონზე შეკრებილთ „მონაკო" — „მეცის" ტაიმთაშორის წარუდგა.



მორიენტესი ფრანგთა ტიტულიანი დამრიგებლის, დიდიე დეშანის დაჟინებული თხოვნის შემდეგ აიყვანეს სამთავროს მთავარი გუნდის შემადგენლობაში. ფერნანდო „მონაკოსთვის" ფრიად საჭირო მობურთალია, რამეთუ ტრავმირებულ ცენტრალურ თავდამსხმელ ნონდას საპასუხისმგებლო ადგილს დაიკავებს. „ლიონი", „რომა", „ვალენსია", „სარაგოსა", „შალკე 04" — აი, იმ კლუბთა არასრული სია, რომლებიც „ელ მოროს" თავისთან ეპატიჟებოდნენ. ამათგან ყველაზე კარგი შანსი გერმანელებს ჰქონდათ, თუმც მადრიდელთა მწირი ანაზღაურების მომიზეზებით მორიენტესმა გელზენკირხენში ბურთაობაზე უარი განაცხადა.

ფრანგებთანაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ოდენ იჯარით იქნება. კასტილიურ-გალიური ხელშეკრულების მიხედვით, იქაურებს „ელ მოროს" ყიდვის უფლებაც ჩამორთმეული აქვთ. „მონაკოს" ახალი თავდამსხმელი 27 წლისაა, „რეალის" მაისურაში 257 საპრიმერო მატჩი ჩაატარა და 105 გოლი გაიტანა. ესპანეთის ნაკრებში კი 30 თამაში და 20 ბურთია მის ანგარიშზე. ცინცხალმა ტრანსფერმა „სამეფო გუნდში" ერთი ძველი კანონზომიერებაც აღადგინა — კასტილიური გრანდის ცხრიანი უკვე აღარ არის ფერნანდოს საკუთრება და ამ ნომრიანი მაისურით რონალდო ითამაშებს. სახელოვანი კიჭას 11 კი ოდინდელ მეთვრამეტეს, ხავიერ პორტილიოს გადაეცა.

**ლადო ხომერიკი**

# დინოს გადინება



**ცნობილი** იტალიელი ნახევარმცველი დინო ბაჯო იტალიური „ლაციოდან" ინგლისურ „ბლექბერნში" გადავიდა. გარიგება „ერთწლიანი სესხების" ფორმითაა შევსებული.

„ჩვენ რომაელებთან საერთო ენა გამოვნახეთ. ბაჯომ ვარჯიშზეც დიდი შთაბეჭდილება დატოვა, ექიმებმაც ჩინებული დიაგნოზი დაუსვეს და პირადადაც ყველაფერი მოვაგვარეთ" — განაცხადა „ბლექბერნის" აღმასრულებელმა შეფმა ჯონ უილიამსმა.

დინო ბაჯო 32 წლისაა და იტალიის ნაკრებში 60 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

# რეალური პრობლემა

**მადრიდის „რეალმა"** „ვალენსიადან" რობერტო აიალა ვერ იყიდა — ზაფხულის დასაწყისში დაფრენილი კაპიტანი ფერნანდო იერნო შეუცვლელი დარჩა.

„ჩვენი წინადადება უარყვეს — განაცხადა „რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ — გულწრფელად რომ გითხრათ, სხვა ფეხბურთელებიც გვყავდა შეგულებული, მაგრამ მათი შეძენა მთელი რიგი ტექნიკური სირთულეების გამო შეუძლებელი გამოდგა".

შეგახსენებთ, რომ არგენტინულ „ინდეპენდიენტესთან" გაბრიელ მილიტოს თაობაზე წამოწყებული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა — მილიტოს ჯანმრთელობამ ეჭვი გამოიწვია.

ამრიგად, „რეალს" ცენტრალური დაცვის სამი ოსტატილა შერჩა: ივან ელგერა, ფრანსისკო პავონი და რუბენი. ამათგან, 23 წლის პავონი და 21 წლის რუბენი დიდად გამოცდილნი არ ბრძანდებიან.

რაც შეეხება აიალას, მის სანაცვლოდ მადრიდელები ვალენსიელებს 12 მილიონ ევროს სთავაზობდნენ.

**ბაპუნა ძიდია**

# 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

მატჩი მესამე ადგილისთვის

**არგენტინა 1:1 (5:4 პენ.) კოლუმბია**

ფინალი

**ბრაზილია 1:0 ესპანეთი**



ბრაზილიელი ლეანდროს (№4) საჩემპიონო გოლი

# გერმანია

## თასის I ეტაპი

როიტლინგენი — ჰერტა 1:6; კილი — ლევერკუზენი 1:3; მაინცი (მ) — კარლსრუე 3:4; აუე — ფიურტი 0:3; რეგენსბურგი — ბოხუმი 2:1; ლევერკუზენი (მ) — შტუტგარტი 0:4; ლუდვიგსფელდერი — ვერდერი 1:9; უნტერჰახინგი — ობერჰაუზენი 6:2; გერბრუნი — ბურგჰაუზენი 0:14; ბერგედორფი — ვოლფსბურგი 1:6; ნოინკირხენი — ბაიერნი 0:5; აინდლინგი — შალკე 0:3; ემენდინგენი — ფრაიბურგი 1:4; ობერნოილანდი — კიოლნი 2:5დ.დ.(1:1); ბრაუნშვაიგი — კაიზერსლაუტერნი 4:1; ვოლფსბურგი (მ) — კოტბუსი 2:0; ჰოფენჰაიმი — ტრირი 4:3დ.დ.(33:3); ერფურტი — ალემანია 1:1დ.დ.(4:5პ); ვალდჰოფი — უნიონი 0:4

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-5 ტური: ბრაუნშვაიგი — ესენი 1:0; ვატენშაიდი — კილი 4:2; ვერდერი (მ) — შალკე (მ) 3:1; ნოიმიუნსტერი — პადერბორნი 1:3; ურდინგენი — ქემნიცი 1:2; კიოლნი (მ) — დორტმუნდი (მ) 2:2; მიუნსტერი — ლაიფციგი 3:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-5 ტური: აუგსბურგი — შტუტგარტი (მ) 3:0; ეშბორნი — ვეჰენი 0:4; ფოიხტი — ბაიერნი (მ) 1:2; ლაუტერნი (მ) — შვაინფურტი 2:2; კიკერსი — ზაარბრიუკენი 1:2. ზიგენი — აალენი, ელვერსბერგი — მაინცი და ჰოფენჰაიმი — ფულენდორფი წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის

# ჩეხეთი

მე-6 ტური: სპარტა — სლავია 0:0; ბრნო — ბლშანი 1:1; სიგმა — ოპავა 3:0; ბანიკი — პლზენი 2:0; პრჟიბრამი — ბუდეიოვიცე 0:2; ტეპლიცე — სინოტი 1:1; იაბლონეცი — ლიბერეცი და ზლინი — ჟიჟკოვი წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 6 | 5 | 1 | 0 | 15:5 | 16 |
| ბრნო | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 14 |
| ტეპლიცე | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 |
| სიგმა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 |
| სლავია | 6 | 3 | 2 | 1 | 7:2 | 11 |
| სპარტა | 6 | 2 | 4 | 0 | 9:2 | 10 |
| ლიბერეცი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| პლზენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 |
| ჟიჟკოვი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| პრჟიბრამი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 |
| ზლინი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| იაბლონეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:7 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | 4 |
| ოპავა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:14 | 4 |
| სინოტი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:9 | 3 |
| ბლშანი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:13 | 1 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# პოლონეთი

მე-4 ტური: ლეგია — ლეხი 2:1; სვიტი — გურნიკი 0:0; ამიცა — ვისლა 2:0; ვიძევი — ლეჩნა 0:1; კატოვიცე — ოდრა 2:0; გროცლინი — პოლონია 2:2; პლოცკი — პოლკოვიცე 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩნა | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| ვისლა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| ამიცა | 4 | 3 | 0 | 1 | 5:1 | 9 |
| ლეგია | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| გროცლინი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:3 | 7 |
| გურნიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| კატოვიცე | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | 7 |
| პლოცკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ოდრა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | 4 |
| ლეხი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:6 | 3 |
| სვიტი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:6 | 3 |
| პოლკოვიცე | 4 | 1 | 0 | 3 | 1:6 | 3 |
| პოლონია | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| ვიძევი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

# შვეიცარია

მე-8 ტური: აარაუ — ციურიხი 3:3; სენტ გალენი — ვილი 4:1; გრასჰოპერი — ბაზელი 0:4; სერვეტი — იანგ ბოისი 4:1; თუნი — ქსამაქსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 8 | 8 | 0 | 0 | 29:8 | 24 |
| იანგ ბოისი | 8 | 5 | 0 | 3 | 16:15 | 15 |
| სერვეტი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:14 | 14 |
| აარაუ | 8 | 3 | 4 | 1 | 12:10 | 13 |
| ქსამაქსი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 |
| გრასჰოპერი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:15 | 10 |
| სენტ გალენი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:13 | 9 |
| თუნი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:16 | 7 |
| ციურიხი | 8 | 1 | 2 | 5 | 11:14 | 5 |
| ვილი | 8 | 0 | 2 | 6 | 11:22 | 2 |

# ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
VII ტური

**ადმირა 2:1 შტურმი**

